645
1982/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509

4

1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რობერტ სტურუა — „გამარჯვება“

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

17486



# ვ. ი. ლენინი

(ნაწყვეტი ელენე სტასოვას მოგონებებიდან)

...მე მაშინ ცოტა ხანს მომინია ვლადიმერ ილიას ძესთან მუშაობა, რადგანაც მეფის მანიფესტი გამოვიდა.

დაიწყო დაპატიმრებები. მაგრამ ცოტაოდენი თავისუფლება მაინც იყო და ვლადიმერ ილიას ძე ველარ ჩერდებოდა საზღვარგარეთ. პირველი შესაძლებლობისთანავე ის, ფინეთის გამოვლით, გამოემგზავრა რუსეთისაკენ, — პეტერბურგში. ჩამოვიდა თუ არა ფინეთის სადგურზე, პრეობრაჟენსკის სასაფლაოზე წავიდა, სადაც განისვენებდნენ 9 იანვრის მსხვერპლნი. ლენინმა საჭიროდ ჩათვალა პატივი ეცა 9 იანვარს დაღუპულთა ხსოვნისათვის.

მე ვლადიმერ ილიას ძე მხოლოდ 1906 წლის იანვარში ვნახე, რადგანაც გამომგზავრებისას მან ჟენევაში ტექნიკური საქმეების შესრულება დამავალა.

ვლადიმერ ილიას ძემ თქვა: „სხვამ შეიძლება საქმე მიატოვოს, ხოლო თუ ჩვენ ელისაბედ პავლეს ასულს (ასე მეძახდნენ ჟენევაში) საქმის ლიკვიდაციას მივანდობთ, ის ამას შეასრულებს.

ამიტომაც მოვხვდი რუსეთში მხოლოდ მოსკოვის დეკემბრის აჯანყების შემდეგ.

1906 წელი განსაკუთრებით ნათლად დამახსომდა. ვლადიმერ ილიას ძე დაბრუნდა სტოკჰოლმის ყრილობიდან, სადაც დელეგატების გაგზავნის საქმეს მე ვაგვარებდი.

სტოკჰოლმიდან დაბრუნებისას ლენინი ცოტახანს გზაში შეჩერდა, რადგანაც ნაშრომს წერდა კადეტების შესახებ.

მაშინ ჩემთან ჩამოდიოდნენ ამხანაგები სამხრეთ რუსეთიდან, განსაკუთრებით ამიერკავკასიიდან, რომლებიც საზღვარგარეთ მიემგზავრებოდნენ იარაღის შესაძენად. ისინი ფიქრობდნენ, რომ შეიძლებოდა კიდევ მომხდარიყო შეიარაღებული აჯანყება.

იმ ამხანაგებს შორის, რომლებიც ამიერკავკასიიდან ჩამოდიოდნენ და მე საზღვარგარეთ ვგზავნიდი, სხვათაშორის, იყო ერთი ქართველი, რომელმაც საინტერესო ამბები მიამბო თბილისში კადეტების მოქმედების შესახებ. მას რომ მოვუსმინე, ვიფიქრე, ვლადიმერ ილიას ძეს გამოადგება ეს მასალები თავისი სტატიისათვის და გავგზავნე ლენინთან, ისე, რომ არ მითქვამს, ვისთან ვგზავნიდი. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ჩემთან ქართველი და მეუბნება: „რა მიყავით?“ მე შევშფოთდი: რა იყო, რა მოხდა მეთქი. „იცით, მე მივედი ამხანაგთან, ის კი ისე მიყურებდა, რომ შევშინდი“. — და ჟესტით მიჩვენა, როგორ ჭუტავდა ვლადიმერ ილიას ძე მარცხენა თვალს, მარჯვენათი კი ორ თითს შუა იხედებოდა. სხვათაშორის, ვლადიმერ ილიას ძეს ასეთი ჩვევა ჰქონდა: ცალ თვალს მოხუჭავდა, მეორე თვალთან ორ გაშლილ თითს მიიტანდა და მათ შუა უყურებდა მოსაუბრეს. მას ერთი თვალი ახლოსმხედველი ჰქონდა, მეორე — შორსმხედველი. ამგვარი ქცევით ის აწესრიგებდა თავის მხედველობას. ქართველი თურმე ჯერ შეცბა, შემდეგ კი თხრობამ გაიტაცა და ყველაფერი უამბო ვლადიმერ ილიას ძეს. მან მისაყვედურა, რატომ არ გამაფრთხილე, რომ ლენინთან მგზავნიდიო. მე ვუთხარი: „რატომ უნდა მეთქვა, რომ ლენინთან გგზავნიდი? ეს რომ გცოდნოდა, შენ მოხსენების მომზადებას დაიწყებდი, მე კი მინდოდა მისთვისაც ისევე უბრალოდ გეამბნა ყველაფერი, როგორც მე მიამბე მეთქი. და მე, რა თქმა უნდა, მიზანს მივაღწიე“.



კ. მარ[illegible] სახ. საქ. სსრ
სახე[illegible] კო რესპუბლ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეჟენი კოტონი

100

ასი წელი შესრულდა გამოჩენილი მეცნიერის, ქალთა თანასწორუფლებიანობისა და მშვიდობისათვის დაუღალავი მებრძოლის ეჟენი კოტონის დაბადებიდან.

ეჟენი კოტონი ხელმოკლე მოხელის შვილი იყო. ფრანგ ქალთა შორის მან პირველმა მიიღო ლიცეის ატესტატი. სწორედ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს გაიცნო ეჟენიმ ემილ კოტონი, რომელსაც შემდეგ თავისი ცხოვრება დაუკავშირა. მათმა ოჯახმა ფაშისტური გერმანიიდან ბევრ ლტოლვილ მეცნიერს მისცა თავშესაფარი, ხოლო საფრანგეთის ოკუპაციის წლებში ცოლ-ქმარი, უფროს ვაჟიშვილთან ერთად, წინააღმდეგობის აქტიური მონაწილენი იყვნენ და ამიტომ ისინი გესტაპომ რამდენჯერმე დააპატიმრა კიდეც.

პარიზის გათავისუფლების წინ, 1944 წელს, ეჟენი კოტონი ფრანგ ქალთა კავშირს დაუკავშირდა. მალე ის ამ კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს და უშუალოდ მონაწილეობდა ქალთა საერთაშორისო კონგრესის მოწვევაში. 1945 წელს გაიმართა ქალთა საერთაშორისო კონგრესი. კონგრესზე შეიქმნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ეჟენი კოტონი და ის უცვლელად ხელმძღვანელობდა ფედერაციას 20 წლის განმავლობაში (სიკვდილამდე, 1965 წლამდე).

ეჟენი კოტონი ერთ-ერთი ორგანიზატორი და დამაარსებელი იყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოსი; ბევრი ჯილდო ჰქონდა მიღებული, მათ შორის — მშვიდობის ლენინური პრემია და კლარა ცეტკინის პრემია, რომლითაც იგი დიდად ამაყობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავლიპი ზურაბაშვილი

## ვულოცავთ!

ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს, საქვეყნოდ სახელგანთქმულ მეცნიერს, უზადო პიროვნებასა და მოქალაქეს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სამგზის ლენინის ორდენის, ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერს, ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებულს, სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვ. მ. ბეხტერევის სახელობისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. რ. თარხნიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატს ავლიპი დავითის ძე ზურაბაშვილს 80 წელი შეუსრულდა! ეს თარიღი ზეიმით აღნიშნა მთელმა ქართველმა ხალხმა, რამეთუ ის სიყვარული და პოპულარობა, რომლითაც სარგებლობს ავლიპი ზურაბაშვილი, როგორც მეცნიერი და როგორც საზოგადო მოღვაწე, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

„საქართველოს ქალის" მთელი კოლექტივი, მისი მკითხველები მიესალმებიან ბატონ ავლიპს, ულოცავენ დაბადების 80 წლის თავს და კვლავაც უსურვებენ მისთვის ჩვეულ სულის სიმხნევეს, დაუშრეტელ ენთუზიაზმსა და შემოქმედებითს წარმატებებს! დანარჩენს 90 წლის თავზე მოგახსენებთ, ძვირფასო ბატონო ავლიპი!

# გავუფრთხილდეთ მშობლებს!

### (მორალის ავადმყოფობა)

შარშან, ნოემბერში თბილისში ჩატარდა რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც ნარკომანიის პროფილაქტიკის მეტად საინტერესო საკითხებს მიეძღვნა. 20 მოხსენებიდან შვიდი სხვადასხვა სამინისტროდან იყო, ხოლო დანარჩენი, რესპუბლიკური პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოდან, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებიდან და რადიომაუწყებლობიდან.

რითი აიხსნება ასეთი ფართო და მრავალმხრივი ინტერესი ნარკომანიისადმი, ნუთუ სხვა რომელიმე უმძიმესი ინფექციური დაავადება ანდა, მაგალითად, კიბო თავისი შედეგით (პროგნოზით) ნაკლებ საზიანო და საშიშია? რა არის შექმნილი ვითარების მიზეზი?

— მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მოქმედების, ქცევისა თუ მოთხოვნილების შინაარსი და მიზანსწრაფვა არავითარ შემთხვევაში არ ამოიწურება მხოლოდ ცოდნით, მისი სიმდიდრითა და სიმრავლით. ჯერ კიდევ თავის დროზე, ფილოსოფოსი სოკრატე განცვიფრებით კითხულობდა, რა უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ადამიანმა იცის, რა არის კარგი, მაგრამ აკეთებს იმას, რაც ცუდია. საკითხს, რომელიც სოკრატეს აწუხებდა და აღელვებდა, უკანასკნელ დროშიაც მიეძღვნა მრავალი დისკუსია. საბოლოოდ ირკვევა, რომ მოქმედებას უნდა წარმართავდეს არა მშრალი ცოდნა, არამედ ადამიანის მორალური შესაძლებლობანი და ზნეობრივი სიფაქიზე. ადამიანის ყოველი საქციელი თუ მოქმედება, მისი სულისა თუ გულის თქმა ზუსტად მტკიცედ უნდა უსმენდეს ადამიანის სინდისის შინაგან ხმას, რის შესახებაც ბევრს ვლაპარაკობ, ჩვენსა თუ უცხოეთის პრესაში! როდესაც გვინდა ნათლად გავერკვიოთ ზნეობის საკითხებში, შევიმუშაოთ შემაჯამებელი წარმოდგენა მორალზე, საჭიროა ყველგან და ყოველთვის მტკიცედ გვახსოვდეს, ზუსტად ვხელმძღვანელობდეთ გენიალური ლენინის გენიალური ფორმულით, სახელდობრ მისი კატეგორიებით გონების, პატიოსნებისა და სინდისის მნიშვნელობის შესახებ. სინდისის შინაგანი ხმის ყღერადობა ადამიანის პიროვნების ძირითადი ღერძი გახლავთ და განსაზღვრავს მისი სოციალური ღირებულების შინაარსს, მის მიერ შექმნილი პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხს. მორალური განწყობის მოკლებულ ცოდნას მოსდევს მხოლოდ უარყოფითი შედეგი. ამ მხრივ სოციალურ ფსიქოლოგიურად ზნეობრივი ადამიანი უფრო მაღალია, ვიდრე, ასე ვთქვათ, ბრძენი ადამიანი. მავნე აზრი, სურვილი თუ მოთხოვნილება არასდროს არ წამოიჭრება მორალური ადამიანის ტვინში, ხოლო მცოდნე ადამიანის ტვინში კი შესაძლოა დაიბადოს.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ნარკომანიის ყველა ფორმისა და განიადაგებული ლოთობის დროს ნადგურდება ზნეობრივი ხერხემალი; ცოდნის მარაგმა კი გარკვეულად. საუბედუროდ შესაძლოა ხელი შეუწყოს მრავალი სახის ბოროტმოქმედებას, რათა ავადმყოფმა დაიკმაყოფილოს თავისი ავადმყოფური მოთხოვნილება.

სოციალურ ფსიქოლოგიური მავნებლობის მხრივ ნარკომანული ბუნების ამორალობას არც ერთი სულიერი გადახრა არ შეედრება.

ნარკომანულ ამორალობას მარტო პიროვნების ფსიქოფიზიკური განადგურება როდი მოსდევს, ყოველი ცალკეული შემთხვევა უარყოფითად მოქმედებს გარემო წრეზე და პირველ რიგში ახალგაზრდობაზე, რადგან იგი მეტად მავნე მაგალითია ჩვენი მომავალი თაობისათვის.

სამოცი წელიწადია მკურნალად ვმუშაობ; მინახავს და შევხვედრივარ მრავალი ავადმყოფის გაჭირვებულ და თვალცრემლიან დედას. მაგრამ შვილის ნარკომანიით გაუბედურებული დედის გაჭირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებას არანაირი უბედურება არ შეედრება.

ბავშვობაში სოფლად მსმენია: ცოცხლად დამარხული ადამიანიაო. ნარკომანიის შემთხვევაში ცოცხლად დამარხულნი არიან ნარკომანიცა და ნარკომანის დედაც.

ცოცხლად დამარხული შვილის ცქერა მშობლისათვის ყველა ცეცხლზე აუტანელია. მახსოვს, ერთხელ სოფლიდან ჩამოსულმა გასაცოდავებულმა დედამ მორფინისტი სტუდენტი შვილი მომიყვანა, რომელიც ფსიქო-ფიზიკურად განადგურებული იყო, ხოლო მორალურად სრულიად გამოფიტული და გაშიშვლებული. უბედური დედა მწარე ღველფით მემუდარებოდა შველას და დახმარებას მთხოვდა. რაც შემეძლო თანაგრძნობა და თანამონაწილეობა გამოვიჩინე, თან კითხვა ამეკვიატა, უბილწო და გულუბრყვილო სოფლელი როგორ ჩავარდა ასეთ უძირო უფსკრულში მეთქი.

ზნეობრივი წარმოდგენების დაქვეითება (დეპრივაცია) ძირითად ფსიქოლოგიურ მიზეზს წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს ყოველი სახის ნარკომანიის განვითარებას. ამ მხრივ ორგვარ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. მაღალზნეობრივ გრძნობებს მოკლებული პიროვნება ან იმსჭვალება დაუძლეველი გედონისტური (სასიამოვნო) სურვილებით და ეძებს ახალ საშუალებებს ან სულიერად ეცემა და სასოწარკვეთილებას ეძლევა. ორივე შემთხვევაში გზააბნეული ადამიანი ხელოვნურ გამოსავალს — ნარკოზულ ნივთიერებას მიმართავს. შედეგი კი ერთია: ნარკომანია.

ცივილიზაციის ეპოქაში ნარკომანიის შემთხვევები სულ უფრო მრავლდება, ჩნდება ახალ-ახალი ფორმები ნარკომანული პრეპარატების შეჩვევისა. ხშირად უჩნდებათ კითხვა, თვით კულტურა თავის შინაგანი თავისებურებათა გამო ხომ არ იწვევს ადამიანთა შორის ზნეობრივი ხერხემლის გამრუდებასა და განადგურებასო? დღემდე ცნობილია, რომ ნარკოზულ ნივთიერებას სვამენ, იკეთებენ ნემსებით, ან ღეჭავენ და თამბაქოსთან ერთად ეწევიან (მაგალითად, კოკაინი და ბურნუთი). სულ ბოლო ხანებში ფართო ხასიათს იღებს ე. წ. ყნოსვის ნარკომანია, ხდება ნივთიერებათა (ბენზინი, საღებავი ნივთიერებები და სხვა) დაძაბული შეყნოსვა გაბრუებამდე. აზრი კულტურის მავნე გავლენის შესახებ სწორი არ გახლავთ, კულტურა თუ ცივილიზაცია რომ ზნეობის შებღალვა-დაქვეითებას უწყობდეს ხელს, მაშინ რაღა საჭირო იქნებოდა კაცობრიობისათვის განათლება?! საკითხი კულტურის მავნეობაზე უმართებულოა! ასე საკითხის დასმა მხოლოდ გაუგებრობა და გულუბრყვილო ანალიზის შედეგი იქნებოდა.

მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ არის თავისებურებანი, რომლებიც თან ახლავს კულტურას, რაც საზოგადოებაში ზნეობის გარკვეულ შებღალვას იწვევს. შევჩერდეთ სამ მიზეზზე: ეს არის სნობიზმი, ნიჰილიზმი და ფრუსტრაცია ანუ იმედგაცრუება.

სნობიზმი გულისხმობს უკრიტიკო და ზერელე მიბაძვას, იქნება ეს ჩვევა თუ ჩვეულებანი, როდესაც არ გამოირიცხება საზოგადოებრივად მავნე მაგალითის გადმოღება-შემოტანა.

დიდად მავნეა ე. წ. ნიჰილიზმი. ჯობია ადამიანი იყოს ბრმა და ყრუ მეცნიერების მიღწევათა მიმართ, ვიდრე იცოდეს ზერელედ, გულუბრყვილოდ და გაუკუღმართებულად.

ნარკომანია სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნების მქონე დაავადებაა, ამიტომ მისი გულუბრყვილო ანალიზი ერთგვარ ბიოლოგიურ გამართლებას მოგვაგონებს და ამ მხრივ უეჭველად მავნეა. მორალური მოდუსის შებღალვას იწვევს იმედგაცრუება, სულიერი სიცარიელის მდგომარეობა, ნდობის დაკარგვა ადამიანისადმი, რწმენის მოსპობა და ფიქრი სიმართლის მიუღწევლობაზე.

ნარკომანიისა და ლოთობის მკურნალობაში სამედიცინო პრეპარატების ე. ი. ფსიქოფარმაკოთერაპიული გზა მეტად ვიწრო, შეზღუდული და ნაკლებად იმედიანია. ამ საქმეში ყველაზე ქმედითია შრომითი თერაპია. გავიხსენოთ — შრომამ შექმნა ადამიანი და როგორც მტკიცდება, იმავე შრომამ უნდა გაასწოროს გამრუდებული სოციალურ ფსიქოლოგიური გეზი. შრომათერაპია ყველაზე ქმედითი და ეფექტური საშუალებაა. სამკურნალო შრომას მიზნად აქვს ავადმყოფში განამტკიცოს რწმენის, მოვალეობისა და დისციპლინის მოთხოვნილება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მაღალ მორალურ წარმოდგენათა გამრავლებას.

ნარკომანიასა და ლოთობასთან ბრძოლა მოითხოვს ფართო მასშტაბით პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მოწყობას. ქმედითი პროფილაქტიკის საწყისი ფესვი, ზნეობრივად ფაქიზი და წყნარი ოჯახია, სადაც სუფევს შრომა, წესრიგი და რომელიც შვილებს ზრდის შრომაში და ამავე დროს სიამოვნება-განცხრომის (გედონიზმის) პრინციპთან აქტიური, ბრძოლის სიტუაციაში.

ჩვენ ვარჩევთ ობლობის ოთხ სახეს. პირველი გულისხმობს ობლობას, როდესაც ურვასთან და მწუხარებასთან ერთად ობოლი სავსეა სიამაყის გრძნობით: მხედველობაში გვაქვს მშობლის სიკვდილი პატრიოტული მოვალეობის შესრულებისას. მეორე შემთხვევაშიც მორალური ზიანი გამორიცხულია — მშობელი იღუპება რაიმე ავადმყოფობით. მესამე — ობოლს აწუხებს სირცხვილი იმისა, რომ იგი დანგრეული ოჯახის წარმომადგენელია, ხოლო მეოთხე შემთხვევაში ოჯახში არის დედაცა და მამაც, მაგრამ მშობლებს შვილისთვის არ სცალიათ. ბავშვი მოკლებულია დედის ალერსს, მამის ავტორიტეტულ მფარველობას და ფაქტიურად მიუსაფრობასთან გვაქვს საქმე. თუ პირველი ორი ჯგუფი გარკვეულად დაზღვეულია ავადმყოფური შემთხვევებისაგან, უკანასკნელი ორი ჯგუფი წარმოადგენს ნაყოფიერ ნიადაგს სხვადასხვა სახის სოციალურ-ფსიქოლოგიური გამრუდების აღმოსაცენებლად.

ოჯახის სადარი მეორე კერა არის სკოლა. მინდა ხმამაღლა განვაცხადო; თუ ბავშვი ბეჯითი, მშრომელი, ზრდილი და წესიერია, დიდი მადლობა ოჯახსა და სკოლას, ხოლო თუ გამრუდებული და წახდენილია — ჩვენი გულისწყრომა იმავე ოჯახსა და სკოლას. სკოლა არავითარ შემთხვევაში არ არის და არც შეიძლება იყოს მხოლოდ ცოდნის წყარო. სკოლის ძირითადი ამოცანაა მოსწავლის ცოდნით გამდიდრებასთან ერთად ახალგაზრდა აღზარდო სპეტაკ პიროვნებად, სამაგალითო ადამიანად, ანუ როგორც დიდი ილია იტყოდა, კაცურ კაცად და კაცურ ქალად.

მშობლებს ან დაწესებულების ხელმძღვანელობას, სადაც ავადმყოფი მუშაობს (დირექციას და პროფკომს) ასევე წამყვანი როლი ეკუთვნის ნარკომანიისა და ლოთობის პროფილაქტიკის მეტად რთულ საქმეში. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ფარული ანუ მუნჯი ნარკომანიის შემთხვევები, როდესაც მშობლები და ახლობლები წლების მანძილზე მალავენ ამ უბედურებას.

ყოველი სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიება მოითხოვს მაღალი მორალური პრინციპების განხორციელებას. ამასთან ერთად ნარკომანიის ყოველ ეტაპზე განსაკუთრებულად საჭიროა ავტორიტეტული საუბრები და მოთხოვნილებანი. დიდი ავტორიტეტი თანაბრად მოეთხოვება როგორც სამედიცინო, ისე ადმინისტრაციულ დაწესებულებებს.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაც მოითხოვს საზოგადოებრივი აზრის გაძლიერებასა და განმტკიცებას. ლექციებით, სენტენციებით და დარიგებებით ვერაფერს გავხდებით ადამიანისა თუ გარემო საზოგადოების მორალური ხერხემლის გასაძლიერებლად. ზნეობის გამრავლება-ამაღლებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველგან და ყოველთვის, შინ და გარეთ, წესრიგის, პატივისცემის, შრომისა და კაცური კაცობის თვალსაჩინო მაგალითებს. ამავე დროს მორალური ქცევისა და მოქმედების მაგალითი საზოგადოებრივ კიბეზე წარმოდგენილი უნდა იყოს არა ქვემოდან ზევით, არამედ ზემოდან ქვევით!

როგორც აღნიშნული იყო ნარკომანიის პროფილაქტიკა მრავალვექტორული ბუნებისაა; ეფექტური შედეგისათვის საჭიროა სხვადასხვა დაწესებულებათა მჭიდროდ ინტეგრირებული, ურთიერთ დამხმარე და მიზნობრივად მიმართული აქტიური მოქმედება!

ვებრძოლოთ მავნე ჩვევებს, გავუფრთხილდეთ მშობლებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს ქალის" რედაქცია ჟურნალის ამ გვერდებს უთმობს სამტრედიის რაიონის ცხოვრებას

მარიკა ბარათაშვილი

# სამტრედია

მიხმობს გზები... განა ერთი
აზარფეშა შემივსეს.
კვლავ მექახის იმერეთი
სილამაზის მეჯლისზე.

...მახსოვს ქუჩა ულიმღამო,
უფერული სახლები...
დღეს კარს გვიღებს ეს საღამო,
ფერად ბაირაღებით.

გუშინ გულში არ მეტია
განახლების წყურვილი,
დღეს კი მხარს შლის სამტრედია
ზღაპრულ უფლისწულივით.

...სადაც მივალ შენს შენებას,
შენს მშვენებას ვუგალობ,
იძლიერე საქართველოვ,
ჩემო დიდო უფალო!







ეროვნული
ბიბლიოთეკა



# სამტრედია წინათ და ახლა

თ. იმედაძე,
საქართველოს კომპარტიის სამტრედიის
რაიკომის პირველი მდივანი.

სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შთაგონებული სამტრედიის რაიონის მშრომელები კანონიერი სიამაყის გრძნობით ავლებენ თვალს შრომისა და ბრძოლის იმ სახელოვან გზას, რომელიც მათ კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით განვლეს. რაიონის მშრომელები დიდად გაახარა ჩვენი რესპუბლიკის ზედიზედ მეცხრედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებამ, აგრეთვე სამტრედიის რაიონის რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშით ზედიზედ მესამედ დაჯილდოებამ. ამ დიდი შეფასების პასუხად რაიონში ყველა უბანზე იგრძნობა მუშაობის გააქტიურება, მდგომარეობის გაუმჯობესება, მშრომელთა ფართო მასების პატრიოტული შემართება. „დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ და ხვალ დღევანდელზე უკეთესად!" — ასეთია საბჭოთა ადამიანების ყოველდღიური საქმიანობის საბრძოლო დევიზი. სამტრედიის მშრომელთა აქტიურობა სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ქალაქი სამტრედია 110 წლისაა. ის ადგილი, სადაც დღეს რაიონის ცენტრია, ადრე სოფელ კულაშის განაპირა ჭაობიანი მხარე იყო. როცა რკინიგზა გაიყვანეს, ამ ადგილზე დაბის მშენებლობაც დაიწყო. ქუთაისის, სენაკისა და ოზურგეთის საზღვარზე, სამი ბაზრის შემაერთებელ კვანძზე დაარსდა სადგური სამტრედია, სადაც თავი მოიყარა სავაჭრო, სამრეწველო და სატრანსპორტო ურთიერთობით დასაქმებულმა მწარმოებლურმა ძალამ. დღითიდღე იზრდებოდა მშენებარე დაბა, ხოლო მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების განვითარებისათვის თითქმის არაფერი კეთდებოდა.

სამტრედიის რკინიგზის კვანძი თვალსაჩინო როლს ასრულებდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში. თავისი მდგომარეობითა და მდებარეობით სამტრედია ისეთ პუნქტად გადაიქცა, სადაც მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა სათანადო გამოძახილს პოულობდა. დასავლეთ საქართველოში დაწყებულმა მზარდმა რევოლუციურმა მოძრაობამ საჭირო გახადა ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრის შექმნა. 1903 წლის ზაფხულში აქ დაარსდა რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი. 1904 წლის ზაფხულზე სამტრედიაში მოეწყო მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, რომელსაც ვასილ სტურუა ხელმძღვანელობდა. 1905 წელს რევოლუციურ მოძრაობას აქტიურად დაუჭირეს მხარი სამტრედიის მუშებმა და განაპირა სოფლების გლეხებმა. 1905 წლის მაისში სოფელ მელაურში, მომავალი რევოლუციონერის ვალიკო გეგეშიძის ბინაში, სადაც ხშირად იმართებოდა არალეგალური კრებები, მოეწყო დასავლეთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია, რომელზეც მენშევიკების წინააღმდეგ სიტყვა წარმოთქვა ი. ბ. სტალინმა.

1917 წლის 2 მარტს სამტრედიაში ცნობილი რევოლუციონერის ვ. სტურუას ინიციატივით მოიწვიეს კრება, რომელზეც თვითონ გააკეთა მოხსენება თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შესახებ. აირჩიეს დროებითი რევოლუციური კომიტეტი; 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდა საქართველოს დედაქალაქ თბილისში, ხოლო 20 მარტს სამტრედიის რაიონული რევკომის ხელმძღვანელობით ქალაქ სამტრედიაში, სტაროსელსკის მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი და გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სამტრედიის ისტორიაში დაიწყო სამეურნეო და კულტურული ზრდის ახალი ხანა. ადრე ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამტრედია 61 წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო კუთხედ გადაიქცა. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად ფრთები გაშალა, გაიზარდა, აშენდა და აყვავდა ჩვენი ქალაქი. სამტრედია სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტის, მშენებლობის, კულტურისა და განათლების მძლავრ კერად გადაიქცა. ჯერ კიდევ ომის წინა ხუთწლედში აშენდა ბევრი ფაბრიკა-ქარხანა, სკოლა და ბიბლიოთეკა, პოლიკლინიკა.

განსაკუთრებით იცვალა სახე სამტრედიის რაიონმა უკანასკნელ წლებში, ფართო გასაქანი მიეცა საბინაო მშენებლობას. მარტო შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა 6.342 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ახალი უნიკალური შენობა, მრავალი ადმინისტრაციული, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. სამტრედიელები მალე იზეიმებენ თავიანთ ქალაქში ახალი ტრანსპორტის — ტროლეიბუსის გამოჩენას.

დიდი სამუშაოები განხორციელდა ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობისათვის. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკს, აიგო საზაფხულო ესტრადა 1000 კაცისათვის, მოეწყო ახალი სკვერები, გაზონები, დეკორაციული კუთხეები, მუსიკალური შადრევნები. შარშან საფუძველი ჩაეყარა რესპუბლიკაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მშენებლობას — სადგურ სამტრედიის რეკონსტრუქცია-გაფართოებას, რაც ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. იქვე, მახლობლად, გამარჯვების ქუჩის გაგრძელებაზე მოეწყობა რკინიგზელთა ახალი დასახლება, სადაც აიგება 9 ხუთსართულიანი სამოცბინიანი სახლი.

ამჟამად რაიონში 56 სასწავლო დაწესებულებაა 13.359 მოსწავლითა და 1312 მასწავლებლით, მათ შორის 48 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა. დიდ ჯიხაიშსა და დაბა კულაშში გახსნილია სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარული ტექნიკუმები. კვალიფიციური მუშათა კადრების აღზრდას ემსახურება სამი პროფტექნიკური სასწავლებელი და რკინიგზის ტექნიკური სკოლა. თუ რევოლუციამდელ სამტრედიაში არცერთი საბავშვო ბაღი არ იყო, დღეს რაიონში 36 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა. მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლისგარეშე აღზრდას ემსახურება პიონერთა სახლი, სამხატვრო სკოლა, საჭადრაკო კლუბი, რომლებისთვისაც აშენდა ახალი კეთილმოწყობილი შენობები.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქალაქში ერთი სამკურნალო ამბულატორია და ერთი 20-საწოლიანი საავადმყოფო იყო, რომელსაც სამი ექიმი ემსახურებოდა, დღეს რაიონში არსებული საავადმყოფოების საწოლთა რაოდენობა 585 შეადგენს, ჯანმრთელობის დაცვის საქმეში კი დასაქმებულია 1574 მუშაკი, რომელთა შორის 256 ექიმია.

განსაკუთრებით პოპულარულია ბალნეოლოგიური კურორტი „სამტრედია". აქ მკურნალობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები და ჩვენი დიდი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოსული ადამიანები. შედეგიც ეფექტიანია.

რაიონში დღეს 99 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, მათ შორის — 6 კულტურის სახლი, 27 სტაციონარული კლუბი, 3 სამუსიკო სკოლა, 5 ბიბლიოთეკა, 2 სახალხო თეატრი, 2 მემორიალური მუზეუმი. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში. რაიონში 122 ფიზკულტურული კოლექტივია. სამტრედიის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა გუნდი სსრ კავშირის „ა" კლასის მეორე ლიგაში თამაშობს და უკანასკნელ წლებში ზედიზედ I და II ადგილებზე გამოდის.

რაიონში პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით განხორციელდა და ხორციელდება კომპლექსური ღონისძიებები იმისათვის, რომ წარმატებით დავლაშქროთ მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნები და მტკიცე გარანტია შევქმნათ მომავალში მთლიანად ხუთწლედის დავალებებისა და ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებისათვის.

პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რაიონული კომიტეტის, მისი ბიუროს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ძირითად ამოცანად სასურსათო პროგრამის განხორციელება მივიჩნიეთ. ამ საქმეში სოფლის მეურნეობის მშრომელებთან ერთად ფართოდ ჩავაბით საწარმოებისა და დაწესებულებების სამშენებლო, სატრანსპორტო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციათა მშრომელები, ფართო გასაქანი მივეცით საზოგადოებრივი მეურნეობის მოსახლეობასთან კოოპერირებას. შედეგიც ეფექტურია: 1981 წელს, ცუდი ამინდის პირობებშიც კი, დიდი წარმატებებია მოპოვებული: სახელმწიფოსათვის უნდა მიგვეყიდა 19.200 ტონა ბოსტნეული, მივყიდეთ 19.531 ტონა. უნდა დაგვემზადებინა 2.500 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, დამზადებულია 3.255 ტონა, სახელმწიფოსათვის უნდა ჩაგვებარებინა 2.300 ტონა ყურძენი, ჩავაბარეთ 3113 ტონა; გეგმური 2.600 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 2648 ტონა ხორცი; 3.850 ტონის ნაცვლად 3.912 ტონა რძე, 9 მილიონი ცალის ნაცვლად 9 მილიონ 201 ათასი ცალი კვერცხი. ასევე დიდი გადამეტებით შესრულდა რაიონში აბრეშუმის პარკის, ხილის, დაფნის ფოთლის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება-დამზადების გეგმები და ვალდებულებები.

ნაყოფიერი აღმოჩნდა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი რაიონის მრეწველობის მუშაკებისათვის. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა 1981 წელს 157 მილიონ 222 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვეს 163 მილიონ 177 ათასი მანეთის პროდუქცია. ასევე გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმები და ვალდებულებები. დიდი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სამშენებლო, სტრანსპორტო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ორგანიზაციების მიერ ნაკისრი გეგმა-ვალდებულებები, ბოლო წლების მანძილზე რაიონი და ცალკეული ორგანიზაციები სისტემატურად გამოდიან გამარჯვებული საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში. უკვე სამი წელია რაიონში არ არის არცერთი ჩამორჩენილი ორგანიზაცია.

რაიონის ბევრ სამრეწველო საწარმოს შემატა ახალი სიმძლავრეები: ჩაის საწარმოო კომბინატში შარშან დაიწყო და დასასრულს უახლოვდება საბჭოთა კავშირში პირველი ჩაის მშრალი კონცენტრატების საამქროს მშენებლობა, რომელიც წლიურად 9 მილიონი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს. „საქჩაის" სამტრედიის მექანიკურ ქარხანაში დაიწყეს თუჯის მილების ჩამოსხმა ჩაის ფაბრიკებისათვის, რაც ამიერკავკასიაში მხოლოდ ჩვენს რაიონში ხორციელდება, ხის დამუშავების კომბინატში აითვისეს ახალი საძინებელი გარნიტური „მხატვრული", რომლის ყველა ანაკრები სახელმწიფო ხარისხის ნიშანზეა წარდგენილი.

კიდევ უფრო გრანდიოზული პერსპექტივებია გადაშლილი მომავლისათვის, რაც უფრო ძლიერს, ლამაზსა და კეთილმოწყობილს გახდის ქალაქ სამტრედიასა და მის სოფლებს.

ახლა, როცა ძირითადად განსაზღვრულია მთავარი ამოცანები, ჩვენი მიზანია ორგანიზაციულ-პარტიული, იდეოლოგიური მუშაობის გააქტიურება. მკვეთრად უნდა გავაძლიეროთ პარტიული გავლენა ცხოვრების ყველა სფეროზე და უწინარეს ყოვლისა ავამაღლოთ ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მთავარი ამოცანაა კიდევ მეტი ყურადღება დაუთმონ სასურსათო პროგრამის განხორციელებას, განამტკიცონ დისციპლინა, გააძლიერონ ორგანიზებულობა, კადრების პასუხისმგებლობა, შექმნან მომთხოვნელობისა და მომკითხველობის ატმოსფერო.

სახალხო მეურნეობის მართვის დარგში რესპუბლიკის ბევრ რაიონში დანერგილ ექსპერიმენტებს რაიონის პარტიული ორგანიზაცია ღრმად და საფუძვლიანად სწავლობს, ადგილობრივ პირობებს უხამებს და გაბედულად ჰკიდებს ხელს მათ განხორციელებას.

რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი მთელ ძალღონეს, მთელ თავიანთ ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ იმას, რომ პირნათლად განახორციელონ აღმშენებლობის ახალი პროგრამა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედი დაამთავრონ ახალი სახელოვანი გამარჯვებებით.



კულტურის სახლი

# აქ ბევრია საამაყო

ყველაფერი ხელისგულივით არის გადაშლილი ამ დიდ ვაკეზე — მთელი სამტრედიის რაიონი უმთებო და უმაღლობო სივრცეზე გაწოლილა და სადაც შეხვალთ, ქალაქად თუ სოფლად, ძებნა არ გინდათ, ყველაფერი თვითონ „მოგძებნით“ და გაგახარებთ.

სამტრედიის კულტურის სახლი, ადმინისტრაციული შენობა, ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინები, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ახალი შენობა დიდ ჯიხაიშში, შინმოუსვლელთა მემორიალი სოფელ ბაშში. კურორტი „სამტრედია“, გიორგი და ვანო სტურუების სახლ-მუზეუმი, ქუთაისის მიმართულებით ლიანდაგებზე გადასასვლელი გზაგამტარი ხიდი, ტოლების, ღანირის, დიდი ჯიხაიშის სასოფლო საბჭოების ახალი შენობები, ნიგორზღვის, ქვაყურის, მელაურის, ნაფალაურის, დაბლა გომის ახალი სკოლები, ქალაქის ცენტრში ტიპიური საბავშვო ბაღები, ბრენდის ტიპის საძროხე კომპლექსი, მეიხვეობის ფაბრიკა.

კიდევ დარჩა ჩამოსათვლელი. ზოგიც მშენებლობის პროცესშია. სამტრედიელებს მალე ახალი კომფორტაბელური სასტუმრო ექნებათ: ახლა რა სკვერები, ფანჩატურები, პარკი და ესტრადა აქვთ! ღამით უნდა გახვიდეთ ამ პარკში და მომღერალ შადრევანთან ჩამოჯდეთ!

ალბათ გაგიგონიათ, ბაყაყების ყიყინისაგან ყურთასმენა არ ჰქონდათ უწინ სამტრედიელებს. სასჯელი იყო მაშინ ჭაობიან სამტრედიაში ცხოვრება. და როცა კულაშს ეს ვეებერთელა ჭაობიანი ველი ჩამოაჭრეს და აქ ქალაქის გაშენება იფიქრეს, კივილით შემოიჭრა გასული საუკუნის 70-იან წლებში დიდი ლითონის გოლიათი. რა იყო არ იცოდნენ. დაფეთებულები ილვიძებდნენ დილას რკინიგზის ახლო მცხოვრები ადამიანები და შიშით უკანვე ბრუნდებოდენ ქოხებში — ვეშაპი მოდისო. ასე საფრთხობელასავით იარა ამ რკინიგზაზე ორთქლმავალმა, სანამ ხალხი მიეჩვეოდა, შიშს გადააგდებდა და მერე შინგამომცხვარ ცხელ მჭადს, ჭყინტ სიმინდსა და ხილს გამოიტანდა ჩამომდგარ ვაგონებთან გასაყიდად. ყველაფერმა მიჩვევა იცის, მიეჩვივნენ მატარებელს და მერე მოუთმენლად ელოდნენ მის დაკივლებას.

სამტრედიის რკინიგზამ ხელ-ფეხი გაუხსნა კერძო მრეწველებს. თუ რევოლუციამდე სამტრედიის პირველი საწარმო, რკინიგზის დეპო იყო და იქ 1888 წლისათვის 15 კაცი მუშაობდა, მეორე საწარმო აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკა ვინმე იტალიელმა გახსნა და აქედან მას ძაფი და ზოგჯერ პარკიც გაჰქონდა საზღვარგარეთ.

ახლა დეპოში იმ 15 კაცის ნაცვლად 507 მუშა-მოსამსახურეა და 300 ათასი ფუთი ტვირთის ნაცვლად წელიწადში 1723 მძიმეწონიანი მატარებლით 864 022 000 ტონა ტვირთი იგზავნება.

აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკა დღეს ერთერთი კეთილმოწყობილი საწარმოა. თუ იგი წელიწადში წინათ 600 კილოგრამ ხამი აბრეშუმის ძაფს უშვებდა, დღეს ეს ციფრი 81 ტონას აღწევს.

მუშებს შრომის კარგი პირობები აქვთ, შრომა გაიოლდა ავტომატურ საამქროში. სავენტილაციო დანადგარებმა დიდი შეღავათი მოუტანა მშრომელებს. ყველა სიკეთე, რაც მუშას სჭირდება საწარმოში თუ ბინაში, ფაბრიკის მზრუნველობით უზრუნველყოფილია. თავდადებული შრომით უპასუხებენ ამ ყურადღებას პარკის მხარშავები, ძაფის ამომხვევები. ორჯერ მიიღო ორდენი ორდაზგოსანმა ამომხვევმა ლიანა ბაშალეიშვილმა. შრომაში ყოველთვის გამარჯვებულია ამომხვეველი ლალი სტურუა.

სამტრედიელები ამაყობენ ჩაის საწნეხი ფაბრიკით, რომლის პროდუქცია საზღვარგარეთაც გადის. უცხოეთში გზავნის მოწყობილობას „საქართველოს ჩაის“ სამტრედიის მექანიკური ქარხანა. ეს საწარმოები საბჭოთა საქართველოს პირმშონი არიან.

1930 წელს სამტრედიაში მურაბის საამქრო ამუშავდა. იმერეთის ხილი სასოებით იხარშებოდა და ალამაზებდა მშრომელთა სუფრას. მაგრამ ეს ცოტა იყო — სულ ორი მილიონი ქილა. ახლა საკონსერვო წარმოების სამტრედიის გაერთიანების სათავე ქარხნის პროდუქცია საზღვარგარეთის ბევრ სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყანაში იგზავნება.

28 დასახელების სხვადასხვა კონსერვი — ხილის წვენები, მურაბები, მარინადები, კომპოტები, ხილფაფები, სხვადასხვა ბოსტნეული, ტომატ-პასტა, კიტრი, მწვანე ბარდა, დამწნილებული პამიდორი, კონცენტრირებული ყურძნის წვენი, ციტრუსების სასმელი ნექტარი — სულ 30 მილიონი პირობითი ქილა, ხარისხის ნიშნით არის დამზადებული.

ქარხნის მეისტორიე ბრიგადირი თამარ შუბლაძე გახლავთ, რომელიც აქ მისი დაარსებიდანვე მუშაობს. ის ჯერ დამლაგებელი იყო, შემდეგ მხარშავი, ლაბორანტი, ბრიგადირი, ცვლის უფროსი, ახლა კი კომუნისტური შრომის ბრიგადას ხელმძღვანელობს. ლენინის ორდენოსანია თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარ შუბლაძე. აქაური ინჟინრები და წარმოების ხელმძღვანელები მის თვალწინ დავაჟკაცდნენ. მან ირგვლივ შემოიკრიბა თავისი ძმები, რძლები და ძმისწულები. შუბლაძეების დინასტია ყველაზე ხალხმრავალია სამტრედიელ მეკონსერვეთა შორის.

რაიონში სულ უფრო ვითარდება სოფლის მეურნეობა, — ძირითადი დარგებია მებოსტნეობა, მესიმინდეობა, მეჩაიეობა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა. განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევენ ქალაქის ლენინის, კიკვიძის; დიდი ჯიხაიშის წითელი ოქტომბრის, სტალინის, მელაურის კალინინის, საჯავახოს პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობები, რაიონმა შარშან წარმატებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმები.

ყველაფერს, რაც ამ მიწაზე და ცის ქვეშ იქმნება, ადამიანები ამზადებენ. რაიონში შრომისმოყვარე ხალხია, მათ თავის შერცხვენას სიკვდილი ურჩევნიათ, მხოლოდ კარგი, უნაკლო და უწუნო მოსწონთ თავიანთი ნახელავი. სამტრედიელები აფასებენ კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თამარ თავაძეს, სოციალისტური შრომის გმირს, მშენებელ დ. ბაღდავაძეს, ელმავლის მემანქანეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს რ. ელიაშვილს, მეჩაიეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს თ. ვაშაკიძეს, მექანიზატორს ს. დვალიშვილს, მესიმინდეს შ. გელაზონიას, მეცხოველეს ზ. მიქაძეს, მებოსტნეს თ. თავაძეს, საშუალო სკოლის დირექტორს თალიკო მიქაძეს და სხვებს, ყველას, ვინც უჩუმრად, უპრეტენზიოდ შრომის მაქსიმუმს აძლევს თავის მხარეს, სამშობლოს.

მათ კარგი ხელმძღვანელი ჰყავთ, პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი თამაზ იმედაძე. ისინი მისგან იღებენ მაგალითს, — უხმაუროდ, უზარზეიმოდ აკეთებენ საშვილიშვილო საქმეებს. რამდენი კარგი ჩანაფიქრი აქვს თამაზ იმედაძეს —მალე არასტანდარტულ მოწყობილობათა სარემონტო-მექანიკური ქარხანა უნდა აშენდეს, მომავალში ღვინის მეორადი გადამუშავებისა და სამკერვალო საწარმოების მშენებლობა დაიწყება, მდინარე რიონზე ხიდია გასადები, რომ სიმინდის ყანები ბორანის იმედით აღარ დარჩეს და როცა რიონი ადიდდება 60 კილომეტრი ფეხით არ იარონ. მომავალში აქაურებს ისეთი მეღორეობის კომპლექსი ექნებათ, რომ მთელ დასავლეთ საქართველოს ეყოფა ხორცი. მებოსტნეობის ისეთი საბჭოთა მეურნეობა შეიქმნება, რომ ზამთარ-ზაფხულ არ მოაკლდებათ იმერლებს კიტრი და პამიდორი.

ყველაფერ ამაზე და სხვა პრობლემებზე მარტო პირველი მდივანი როდი ფიქრობს, მასთან არიან რაიკომის მდივნები, განყოფილებათა გამგეები, აქტივი.

პარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანი ნათელა გელეიშვილი იდეოლოგიურ მუშაობას წარმართავს. მას კომკავშირული და პარტიული მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს. აქაურებს ის სკო-


საკონსერვო ქარხანაში


აბრეშუმის ძაფსართავ ფაბრიკა.
ლ. ბაზღვიშვილი და გ. ქვთიძე


ბალნეოლოგიური კურორტის სამკურნალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში მომუშავე ახსოვთ, — მურის გამომყვანად რომ იყო. შემდეგ უმაღლესში მოეწყო, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. მერე ერთხანს მატარებელს დაჰყვებოდა საჯავახომდე, სადაც სკოლის პიონერხელმძღვანელი იყო. აი, მაშინ გამოჩნდა მისი შესაძლებლობა, კომკავშირის რაიკომში მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილება ჩააბარეს, იყო კომკავშირის რაიკომის მდივანი, კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი.

დღეს პარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანი ნათელა გელეიშვილი თავის მუშაობის ძირითად ასპარეზს კაბინეტის გარეთ, ხალხში ხედავს, ღონისძიებებს ახორციელებს, მშრომელებს ხვდება, მათ ძალას მატებს და თვითონაც მათი ძალით მდიდრდება.

სამტრედიელები ამაყნი არიან. მათ აქვთ თავიანთი თავის იმედი, თავიანთი მხარის უკეთ წარმოჩინების შეძლება. ამაყობენ იმით, რაც დღეს გააკეთეს და რასაც ხვალ გააკეთებენ. მაგრამ უკეთესობისაკენ მათს სწრაფვას მდიდარი წარსული ალამაზებს. თავი მოსწონთ ნიკო ნიკოლაძით, პირველი ქართველით, რომელმაც უცხოეთში პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია განიარაღების საკითხებზე, რომელიც პირადად შეხვდა და ესაუბრა კარლ მარქსს. ამაყობენ, რომ ასეთი პიროვნება დიდ ჯიხაიშში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

სამტრედიის რაიონის მკვიდრნი არიან ცნობილი რევოლუციონერები; ვანო და გიორგი სტურუები, შალვა ელიავა, ვალიკო გეგეშიძე, გიორგი თელია, მარიამ ორახელაშვილი, ლავრენტი ქართველიშვილი.

სამტრედიელები იყვნენ დიდი მათემატიკოსი ანდრია რაზმაძე და სამხედრო დასტაქარი, პროფესორი იუსტინე ჯანელიძე. აქაურია დიდი ქართველი ენათმეცნიერი აკადემიკოსი აკაკი შანიძე.

სამტრედიელები ამაყობენ მოქანდაკე ნ. კანდელაკით, რესპუბლიკის სახალხო არტისტებით: აკაკი კვანტალიანით, ბათუ კრავეიშვილით, ეროსი მანჯგალაძით (რომელმაც სულ ახლახან გული დასწყვიტა მთელ საქართველოს), ცნობილი მსახიობებით ვახტანგ მეგრელიშვილით, იმედო კახიანით, გივი ტორონჯაძით, ვახტანგ ნინუათი, ვახტანგ ჯახუტაშვილით, ზურაბ კახიანით, მწერლებით მარიამ გარიყულით, დემნა შენგელაიათი, კონსტანტინე ლორთქიფანიძით, კარლო კალაძით, ანდრო თევზაძით, კარლო გოგოძით, ალექსანდრე შანიძით, გიორგი კაჭახიძით; საბჭოთა კავშირის გმირებით — არკადი გეგეშიძით, ვახტანგ ჩიქოვანით, გერმანე კილასონიათი, აკაკი ტერელაძით, გიორგი შენგელიათი.

ალბათ ამიტომაც არ შეიძლება კარგი არ იყოს დღეს სამტრედია თავისი ადამიანებით, თავისი იერსახით!

დიახ, აქვთ თავმოსაწონი, აქვთ საამაყო!

**ლია კაკაბაძე**





კოლმეურნეობის თავმჯდომარე თამარ თავაძე

# ნიჭი ხელმძღვანელობისა

ლელი და ლაქაში. აქა-იქ ისლით დახურული, წაფერდებული ქოხები. ქოხების წინ პერანგისამარა, მუცელგასიებული, გამოყვითლებული, ტყირპიანი გოგო-ბიჭების ფეხშიშველი ტანტალი და ჭაკუნას თამაში... მზისგან გამთბარ მწვანელორწოიან ჭაობში ქვეწარმავალთა ნებიერი ზმორება და აორთქლილი ხაშმი ციებ-ცხელებისა...

ასე დაასურათხატა ქართული მხატვრული სიტყვის საუცხოო ოსტატმა დემნა შენგელაიამ სოფელი სანავარდო.

ახლა?

ფართო, განიერი, ისარივით გატყორცნილი მოასფალტებული ქუჩები, ღამით ნეონის ნათურებით გაჩახჩახებული, ორსართულიანი ქვითკირისა და აგურის სახლები, სანიმუშოდ მოვლილი ბაღჩა-ბაღები, თვალუწვდენელი პლანტაციები...

სახელი?

სანავარდო წაიშალა რაიონის რუკიდან.

ქალაქ სამტრედიის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაა ახლა ამ ადგილების ბატონ-პატრონი.

იყო სოფელი, იქცა ქალაქად.

ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს ამ მეურნეობას და აქედან 43 წელი მას უცვლელად ხელმძღვანელობს საკოლმეურნეო მშენებლობის ენთუზიასტი, ბრწყინვალე ორგანიზატორი თამარ თავაძე.

ქვეყნის სამსახურს შეალია თამარმა ყმაწვილქალობიდან სიჭარმაგემდე მოყოლებული წლები.

სათქმელად არის ადვილი, — 43 წელი ერთ კოლექტივს ხელმძღვანელობდე და შენი სიტყვა კანონად მიაჩნდეთ ხელქვეითებს, სჯეროდეთ და სწამდეთ შენი, შენს დაძახილზე ქუდზე კაცი გამოდიოდეს!

ამისათვის მარტო ტაქტი და მოქნილი სიტყვა როდია საკმარისი.

ტრიბუნიდან ენამზეობა არ ეხერხება ქალბატონ თამარს.

მაშ საიდან იღებს სათავეს კოლექტივის მიღწევები?

მისი პირადი მაგალითიდან.

იგი, უპირველეს ყოვლისა, თავად არის ხელმისათითებელი მეურნე, ფიზიკური შრომის ფანატიკურად მოტრფიალე ადამიანი, თავისი საქმის „ხუთი თითივით“ მცოდნე, კარგი დიასახლისი, მზრუნველი დედა, ბებია...

პირად მაგალითს კი ყოველთვის სასწაულებრივი ძალა აქვს...

თამარ თავაძის სამუშაო დღე დილის შვიდ საათზე იწყება.

კოლმეურნეობის კანტორაში დილაუთენია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისული საწერ მაგიდაზე დღის სამუშაო გეგმას გულდასმით გადაათვალიერებს, მერე არითმომეტრს ჩაჰკირკიტებს, სახეზე კმაყოფილების ღიმილს ზოგჯერ წყენის აჩრდილიც ენაცვლება. ამასობაში ელექტროდილაკსაც საქმე უჩნდება...

— ბრიგადირი ფხაკაძე ჩემთან!

— ფერმის გამგეს დამიძახეთ!

— პარტბიუროს მდივანს სთხოვეთ!

— მეორე ბრიგადა დღეს დიდქალაში!..

— მექანიზატორი ჭანტურია „კანკურის“ ფართობზე!..

— სიტყვის შებრუნება არ შეიძლება, უფრო სწორად, ასე მიიჩნევენ მასთან წლების მანძილზე შეზრდილი კოლმეურნეები.

მტკიცეა გადაწყვეტილება — განკარგულება, რომელსაც თამარი იძლევა, — აუცილებლად უნდა შესრულდეს. იქნებ სადავო იყოს განკარგულების სისწორე ან მისი შესრულების შესაძლებლობა? არა, დავა მანამდე შეიძლება, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდე, მერე დავა, წუწუნი დროის კარგვაა, წყლის ნაყვაა.

ასე სწამს თამარს...

კარგი ხელმძღვანელობა იმას ნიშნავს, რომ შემოქმედი, კარგი ხელოვანი იყო. არტისტულ ხელოვნებას როდი ვგულისხმობ, რომელსაც, სამწუხაროდ, ბევრი სამეურნეო მუშაკი (და განა მარტო სამეურნეო!) მიმართავს ზოგჯერ და მოჩვენებითი კომპეტენტურობა, პოზიორობა მაჭლაჭუნასავით აწვება გულზე ხელქვეითებს. ასეთ დროს კოლექტივში ნდობის ატმოსფერო იკარგება, სუფევს გულარხეინობა, უდარდელობა, ცინიზმი...

— ხელმძღვანელის კომპეტენტურობა თვით მისი თეორიული ცოდნიდან, პრაქტიკული საქმიანობიდან, სიტყვისა და საქმის ერთიანობიდან უნდა გამომდინარეობდეს, უამისოდ პიროვნება, როგორც ხელმძღვანელი, ნამდვილად არ არსებობს. ეს თამარ თავაძის სიტყვებია.

რამდენჯერ ვცადე მისგან ინტერვიუს აღება. არა და არა, ისეთი არ გამოვიდა, როგორიც მსურდა.

ქალბატონი თამარი ყოველთვის რაღაცით და ვიღაცით უკმაყოფილოა, საერთო სახალხო საქმისათვის ბრძოლა მას ისეთი თავგამოდებით სჩვევია, რომ, რა მაღალი მიჯნებიც უნდა დალაშქროს, უკმარობის გრძნობა მაინც უფორიაქებს სულსა და გულს. მისი სურვილი, თვალსაწიერი გაცილებით ფართოა, ვიდრე ის, რისთვისაც დღემდე მიუღწევია, რაც დღემდე გაუკეთებია...

ახლაც სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი ის უტეხობა, ის უდრეკობა, პირდაპირობა, ავისთვის ავის, კარგისთვის კარგის პირუთვნელად თქმის, სიმართლისათვის თვალებში ჩახედვის ძალას რომ აძლევს დღენიადაგ.

პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების სიყვარული წლების მანძილზე გაუნელებლად უნთია გულში.

რაოდენადაც უნდა გვეხამუშოს, სამტრედიის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობას დღესაც თამარ თავაძის კოლმეურნეობად იხსენიებენ. საფუძველი დიახაც რომ აქვთ ამის მთქმელებს!

წლების განმავლობაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, წევრი, სარევიზიო კომისიის წევრი, საქართველოს მეხუთე და მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ორი ლენინის ორდენის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენების, უამრავი მედლის კავალერი, პარტიის რაიონული კომიტეტის წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

თამარი უზომო პასუხისმგებლობას გრძნობს საკუთარი თავისა და საქვეყნო ვალის წინაშე. ამასვე მოითხოვს კოლექტივის თითოეული წევრისაგან.

შედეგი? 1981 წელსაც კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა ყველა სახის გეგმური დავალებები და ნაკისრი ვალდებულებები. კიკვიძელი მეცხოველეები გამარჯვებული გამოვიდნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვიმპელი და პრიზიც ხვდათ წილად. მეცხოველეობის გარდა აქ მეურნეობის ძირითადი დარგებია მებოსტნეობა და მესიმინდეობა. ორივე დარგში კოლმეურნეობამ, როგორც წლების მანძილზე, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელსაც რაიონში რეკორდული მოსავალი მოიწია.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის იუბილეს კი უფრო მეტი შრომითი ნობათები უნდა მიუძღვნან.

კ. ჩიხლაძე

## ტყე აშრიალდა

ლაღობს აპრილი... ირგვლივ სიმწვანე,
ლორთქო ბალახი ღაღანებს მზეში,
ქალიშვილები ყვავილებს წნავენ
და სამკაულად იბნევენ თმებში,
მზე გაბადრულა კამკამა ცაში,
დაქრის ზღვაური წყნარი ხმაურით,
ტყე ახმაურდა, ფოთლების ტყეში
და ჩამღლვარა გულს სიხარული.

## ჩაის მკრეფავ გოგონას

შენ ჩაის ბუჩქებს მიუყვები ლხენით,
გულს სიხარულის შვებით აივსებ
და ჩაის ფოთლებს ხელები შენი
ათამაშებენ როგორც კლავიშებს.

მზის ცელქი სხივი დაგდევს მხარდამხარ,
სიომ ფოთლების ზღვა შეარხია,
მამულმა ისე დიდი გაგხადა,
რომ კოლმეურნეს გმირს გეძახიან.

პედაგოგი რაისა შენგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხივი სულისა

ნელი გაბრიჩიძე





სამტრედია... აი, როგორი ყოფილა იგი. მხოლოდ სატვირთო და სამგზავრო მატარებელთა გზაგასაყარი სადგური და სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვით განთქმული კუთხე კი არა, პოეზიის ბანგით დამუხტული მტრედისფერი ციალი, ქართული სულის კიდევ ერთი გამოსხივება...

ამ გაკრიალებულ ქუჩებში ახლა მხოლოდ შადრევნების შრიალი ისმის, თუმცა ზოგჯერ ადამიანის ფეხის ხმაც მოეჩვენება სმენას. რაიკომის პირველ მდივანზე — თამაზ იმედაძეზე მითხრეს, ღამითაც არ სძინავს, ფეხით დადის ქალაქშიო. ნეტავ მართლა თუ დადის ახლა იგი და ხვალინდელ დღეზე ფიქრობს...

რამდენჯერმე ვესტუმრე მის სამნყმსოს. პირველად რამდენიმე მწერალი ვიყავით. არ მოგვშორებია, მთელი რაიონი შემოგვატარა, პირდაპირ ყანებში, კომბოსტოს ნარგავებში, საამქროებში გავმართეთ ლიტერატურული შეხვედრები. მაშინ გამაოცა პირველად ას წელს გადაცილებული ისტორიის მქონე „პროვინციული" ქალაქის კულტურის დონემ.

მის მერე კიდევ რამდენჯერმე შევაწუხე რაიკომის მდივანი ნათელა გელეიშვილი და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ანზორ გრიგოლია. არც რაისაბჭოს ალმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს ჯულიეტა გოგავას ვასვენებდი... რაკი ერთხელვე გამიტაცა აქაური ხალხის შემოქმედებითმა ნიჭმა და ფანატიკურმა სიყვარულმა ხელოვნებისადმი, ვცდილობდი, ბოლომდე გავრკვეულიყავი, სახელდობრ რამ განაპირობა ამ უაღრესად დახვეწილი სულიერი ცხოვრების არსებობა რაიონში, მისი ესოდენ მრავალფეროვანი გამოვლინება. ამ მრავალფეროვნებაში შორიდანაც დარწმუნდება კაცი, მარტო გაზეთ „წინსვლის" რამდენიმე წლის კომპლექტს რომ გადაავლოს თვალი.

ჩემთვის აღმოჩენა დაიწყო რკინიგზელთა კლუბთან არსებული დრამატული სახალხო თეატრისა და ანსამბლ „ცისარტყელას" მიერ დადგმული საესტრადო-კომიკური ოპერის პრემიერით: „სიყვარული, მეფე და ვიოლინო" რომ ეწოდება. მუსიკის ავტორი და დირიჟორია რკინიგზის სამტრედიის განყოფილების ინჟინერი, ანსამბლ „ცისარტყელას" ხელმძღვანელი — რობერტ ქებაბჩიანი. ლიბრეტო შექმნა, ოპერა დადგა და მთავარი როლი შეასრულა სამტრედიის სამუსიკო სკოლის დირექტორმა, საკავშირო ფესტივალის ლაურეატმა ოთარ შანიძემ, ქორეოგრაფები — რამაზ კაცაძე და იოსებ შენგელია. უნდა ითქვას, რომ ამ დადგმის დონე ბევრ პროფესიონალს შეშურდებოდა — როგორც რეჟისურის, ისე შესრულების თვალსაზრისით.

მოგვიანებით რკინიგზელთა კლუბისა და სახალხო თეატრის შესახებ ბევრი რამ მიამბო კლუბის დირექტორმა ნიკოლოზ კაკაბაძემ. აღმოჩნდა, რომ თეატრს სამოცი წლის ისტორია აქვს. აქ მრავალჯერ დაუდგამთ პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი" და კ. კალაძის „როგორ", დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი" და შ. დადიანის „საშინელი შურისძიება", ა. ყაზბეგის „ელეონორა" და თ. ფერაძის „უტუ მიქავა". ყველას ვერ ჩამოთვლი... დამდგმელი რეჟისორებიდან კი უნდა მოვიხსენიოთ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბიძინა კიკაჩეიშვილი, კულტურის დამსახურებული მუშაკი დავით ტაბიძე, ბიჭიკო ტორონჯაძე და სხვები. თეატრის თითქმის ყველა დადგმა დაჯილდოებულია საპატიო და პირველი ხარისხის დიპლომებით.

„ცისარტყელას" გარდა რკინიგზელთა კლუბთან ჩამოყალიბებულია ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ანარეკლი" (ხელმძღვანელები რობერტ ქებაბჩიანი და სვეტლანა სავჩენკო) და გოგონების მოცეკვავეთა ანსამბლი (ქორეოგრაფი ა. ჯანაშვილი).

მეტოქეობა არ ექმნის, მაგრამ რკინიგზელთა კლუბს მხოლოდ ასაკით თუ ჩამოუვარდება სამტრედიის კულტურის სახლთან არსებული სახალხო დრამატული



თეატრი (1961 წ.). უკვე ათი წელია კულტურის სახლის და თეატრის დირექტორია ზელიმხან ანდრიაძე, რომელიც ამასთანავე სასიამოვნო თანამოსაუბრეც აღმოჩნდა. მან ბევრი რამ მიამბო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და რეჟისორზე, ან განსვენებულ დავით ტაბიძეზე, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მშობლიურ კუთხეს. მან სცენაზე განახორციელა დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება", ძველი და ახალი ვოდევილი — ა. წერეთლის „ბუტიაობა", მ. გოგიაშვილის „ვცვლი სიდედრს" და სხვ. გარდა ამისა, შექმნა თეატრალური სტუდია, რომელიც დღესაც დიდი შემოქმედებითი ცხოვრებით სუნთქავს.

დღესდღეობით თეატრის მესვეურია ტარიელ ხაჟალია; დაიდგა ლ. თაბუკაშვილის „დარაბებს მილმა გაზაფხულია", ა. დევიძის „ყველაზე ძვირფასი", ალ. ჩხაიძის „დღის წესრიგშია ერთი საკითხი" და სხვ. იმ ხანებში, როდესაც ზელიმხან ანდრიაძეს ვესაუბრე, თეატრი მუშაობდა ორ პიესაზე: ესენია ვ. იაქაშვილის „კარიერა" და გ. მდივნის „სატყუარა იხვი".

სახალხო თეატრის დადგმებში აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები — მზია ჩიხლაძე და ჟუჟუნა ნიკურაძე, ლია კუჭუხიძე და მზია გაგიშვილი, ალექსანდრე ერქვანიძე და ბადრი ჯანჯალია, გია სტურუა და ნოდარ პირველაშვილი, გია ერგვენიძე და როლეზ გოგიშვილი...

რაიონის კულტურის სახლში თეატრს გარდა კიდევ მრავალი თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივია. მათ შორის აღსანიშნავია სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, უხუცესთა ეთნოგრაფიული ანსამბლი „სანავარდო", აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელიც ოპერატიულობითა და მაღალი მხატვრული დონით გამოირჩევა, ვოკალური ტრიო დავით კოპალეიშვილის, მერაბ ნილოსანის და სერგო კრავეიშვილის მონაწილეობით, მომღერალთა ანსამბლი, სახალხო სასულე ორკესტრი (ხელმძღვანელი ამირან კარაპეტოვი), ლიტერატურული წრე, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი, ქალთა ლირიული დუეტი (ნათელა დევიძე და მზია ჯინჭველაშვილი) და სხვები, რომელთა რეპერტუარი ძირითადად ქართული და ეროვნული საგანძურის პოპულარობას ემსახურება.

გვესაუბრება ჯულიეტა გოგავა (სამტრედიის რაისაბჭოს ალმასკომის კულტურის განყოფილების გამგე, დიდი სამამულო ომის მონაწილე): — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული კოლექტივების რაიონულ ოლიმპიადაში შარშან მონაწილეობდა 44 მხატვრული კოლექტივი. შერჩევის შემდეგ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს: ჯიხაიშის, ნითელი ოქტომბრის, ბაშისა და ვაზისუბნის საბჭოთა მეურნეობების, გომის, ოფეთისა და ნოლის სასოფლო კლუბების, აგრეთვე დიდი ჯიხაიშისა და ღანირის კულტურის სახლების, კულაშის საქსოვი ფაბრიკის, საკონსერვო კომბინატის, განათლების მუშაკთა სახლის, მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოებისა და სარაიონო კულტურის სახლის, აგრეთვე სხვა მხატვრულმა კოლექტივებმა. სულ ოლიმპიადაში 1000-მდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. ასევეა წელსაც... საერთოდ, ჩვენი ბიბლიოთეკების (59), კლუბების (34), მუზეუმების მუშაობა ორიოდე სიტყვით ვერ გამოიხატება და ვერც განიზომება...

სამტრედიაში ყოფნისას დავათვალიერე სამივე სამუსიკო სკოლა (სამტრედიის, კულაშის და დიდი ჯიხაიშის), ვესაუბრე მათ დირექტორებს — ოთარ შანიძეს, ალექსანდრე ერქვანიძეს და დალი ვაშაკიძეს. ეს სკოლები ახლომახლო სოფლების ახალგაზრდობასაც ემსახურებიან. განსაკუთრებით ვრცელი, სამოცწლიანი ისტორიით ხასიათდება სამტრედიის სამუსიკო სკოლა, რომელიც ღირსეულად ატარებს მისი დამაარსებლის, ცნობილი მუსიკოსის და საზოგადო მოღვაწის დომენტი შანიძის სახელს. ესტაფეტა გრძელდება. დღეს მისი ვაჟი — ოთარი, შემოქმედებითი ნიჭიერე-



პარტიის რაიკომის მდივანი ნათელა გელეიშვილი (შუაში) ესაუბრება სამხატვრო სკოლის პედაგოგებს

ბით გამორჩეული პიროვნება, ამ სამუსიკო სკოლის დირექტორია...

კარგი პირი უჩანს ლიტერატურული გაერთიანების მუშაობას, რომელსაც მწერალი მიხეილ ბულკათი ხელმძღვანელობს.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდნენ ახალგაზრდა მხატვრები გიორგი წვერავა და ლუკა კოხრეიძე. ივანე გეგელიამ კი სამხატვრო განათლება ლენინგრადში მიიღო. ენთუზიასტმა, შემოქმედმა ჭაბუკებმა რაიონში დაძებნეს ხატვის ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები და მათი ნამუშევრების გამოფენა მოაწყეს. მალე მათი ინიციატივით შეიქმნა სამხატვრო სკოლა, რომელიც შესანიშნავი შედეგებით გამოირჩევა. ნორჩ მხატვართა გამოფენებს დიდი სიამოვნებით ათვალიერებენ რაიონის მშრომელები. ამაყობენ პატარა ოსტატებით, ისევე, როგორც ნორჩი მოჭადრაკის სოფიკო ტერელაძის სახელს ახსენებენ ხოლმე იმედიანი ღიმილით.

ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის სახლმუზეუმს დაარსებიდან, აგერ უკვე 30 წელია სათავეში უდგას დიდებული ენთუზიასტი თინა ჭილაძე, რომელმაც აქვე, დიდ ჯიხაიშში, კულტურის უნივერსიტეტი ჩამოაყალიბა. აქ ენყობა სამეცნიერო მუშაობა, იკითხება ლექციები, იწერება შრომები.

— კულტურის უნივერსიტეტზე ბევრი რამის თქმა შეიძლება. იგი, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვას გულისხმობს, — ამბობს თინა ჭილაძე; — ესა თუ ის პრობლემა, ერთხელ თუ ლექციაში შეიძლება მოაქციო, სხვა დროს ლიტერატურული დისპუტებისა თუ ექსკურსიების, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრისა თუ თეატრალური სპექტაკლების განხილვის სახეს იღებს. ამჟამად ას სამოცი მსმენელი გვყავს, მაგრამ მეცადინეობას გაცილებით მეტი ესწრება; პოეზიის საღამოებსა და სხვა მასობრივ ღონისძიებებში კი, როგორიც არის, მაგალითად, ახალი ტრადიციული დღესასწაული „ნიკოობა", მთელი რაიონი მონაწილეობს...

თინა ჭილაძეს მხარში უდგას მეუღლე, გამოცდილი მუშაკი ვალერიან ბიბილეიშვილი — მუზეუმის ფონდების გამგე; აქვე საშუალო სკოლის მასწავლებლად მუშაობს მათი ქალიშვილი ლია, რომელიც ამავე დროს კულტურის უნივერსიტეტის ლექტორიც არის.

და ვინ იცის, რამდენი ასეთი განათლების სხივმატარებელი ოჯახია კიდევ სამტრედიაში. არიან ოჯახები, რომელთა სიმღერა თუ სხვა შემოქმედებითი შესაძლებლობები მთელს რესპუბლიკაშია ცნობილი.

და ყოველივე ეს, მთელი ხალხური შემოქმედება, შეცნობილი და დაფასებულია რაიონში. უმეტეს შემთხვევებში შემოქმედებით კოლექტივებს პროფესიონალები ხელმძღვანელობენ, რაც კიდევ უფრო ამაღლებს მათი ხელოვნების მხატვრულ დონეს.

აი, თურმე რატომ არის ხალხმრავლობა სამტრედიის სოფლებსა თუ ბაღ-ვენახებში. რატომ ბრუნდება უკან ახალგაზრდობა, რატომ არავინ უჩივის მუშახელის ნაკლებობას. აქ ყველასთვის საკმაოა სულიერი საზრდო, ყველასთვის ფართოა სამოქმედო ასპარეზი...

მეჩვენება, რომ ზღვაში წვეთია, რის თქმაც მოვახერხე სამტრედიის რაიონის კულტურული ცხოვრების შესახებ. თითოეული კოლექტივი თითო ნარკვევის ღირსია. ყოველი მათგანი უამრავი კონკურსის მონაწილეა, გამარჯვებას შეჩვეულებს საკუთარი „მუზეუმები" აქვთ, სადაც საკავშირო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მოპოვებული სიგელები და საჩუქრებია გამოფენილი.

და განა ცალკე ნარკვევის თემა არ არის პიონერთა სახლის კაბინეტებში გაერთიანებულ მოსწავლეთა შემოქმედება?!

ვალში ვარ შენს წინაშე, მაღალი კულტურული ტრადიციების მქონე მხარევ, შენი ადამიანებისა და შენი მტრედისფერი ცის წინაშე...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამი ღმერთი

ხშირად მათ „თეთრხალათიანებად“ იხსენიებენ. იმასაც ამბობენ, ექიმს ყოფილი პაციენტების მადლობა არ სჭირდებაო, ის ხომ თავის მოვალეობას ასრულებს, ადამიანის გადარჩენას თავისი პროფესია ავალებსო.

არა, ეს ძალზე უბრალოდ არის ნათქვამი! ექიმობა პროფესია კი არა, უფრო მეტია: ბრძოლაა, ომია, შერკინებაა, თვით სატანასთან — სიკვდილთან შებმაა.

ასეთი აზრები მიტრიალებდა თავში, როცა ლენინის ქუჩით ჩვენი საქალაქო საავადმყოფოსაკენ მივემართებოდი.

გაზაფხულის მზე ეალერსებოდა ახალგამოღვიძებულ ბუნებას, გაზაფხულის მზეს ეფიცხებოდნენ ადამიანები, და ყველაფერს სულ სხვა იერი დაჰკრავდა, ვიდრე გუშინ. ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენებოდა მე...

აი საავადმყოფოც. აქ, თერაპიის განყოფილებში მუშაობს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ნელი დადიანი. მე მას არ ვიცნობდი, მხოლოდ რამდენჯერმე მომიკრავს თვალი. წამდაუწუმ კი მესმოდა: „ექიმი კი არა სიცოცხლეაო“. რატომღაც სულ მინდოდა უფრო ახლოს გამეცნო და აი...

გამომეგება მაღალი, ელეგანტური, ნათელი, გულღია გამომეტყველების ქალი. უცნაურია, მაგრამ მთელი ჩვენი საათნახევრიანი საუბრის განმავლობაში მის საოცრად ახალგაზრდულ თვალებს რომ ვხედავდი, აკვიატებული მქონდა ჰიპოკრატეს ფიცის — ექიმის ფიცის სიტყვები.

— იცით, მთელი ჩემი ცხოვრება სამ ღმერთს ვემსახურები: — მითხრა საუბარში ნელიმ. — მეგობრებს, პროფესიას და ოჯახს, ისინი ჩემი ღმერთებია და არც კი ვიცი, რა დავარქვა ამ სიყვარულს...

აი, თურმე, რატომ მახსენდებოდა ჰიპოკრატეს ფიცი. ეს ფიცი, და ექიმის პროფესია, შერწყმულია ამ ქალის ცხოვრებაში და თავადაც იმედის სიმბოლოდ ქცეულა. ნელი ხომ მთელი თავისი პროფესიული ცხოვრების მანძილზე „სიცოცხლესა“ და „სიკვდილს“ შორის დგას სამი ღმერთი!

— შარშან. — მეუბნება ნელი, ბულგარეთში ვისვენებდი. მოსკოვში რომ ჩამოვფრინდი, აეროპორტში ცუდად შევიქენი. ჰოდა, კარდიოლოგიის ინსტიტუტის რეამინაციის განყოფილებაში ამოვყავი თავი. კარგა დიდხანს ვიწექი. ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ოღონდ პესიმიზმი არ დამუფლებია, ვიცოდი, ვგრძნობდი, რომ იქ, პალატის კარს უკან ჩემიანები იდგნენ. ერთ დღეს, ცოტა რომ მოვმჯობინდი, პალატის კარი გაიღო და ახალგაზრდა წყვილი გამომეცხადა. ვიცანი — ერთ-ერთი ჩემი პაციენტის ვაჟი და მისი საცოლე იყვნენ. იმ პაციენტმა ჩემს ხელში დალია სული. ყველაფერი ვიღონეთ, მაგრამ ავადმყოფი ვერ ვიხსენით. ჰოდა, აი ახლა, როცა ასე მიჭირდა, მისი შვილები მოვიდნენ ჩემს სანახავად. ვერასოდეს დავივიწყებ ადამიანთა მადლიერებას. თვითონ განსაჯეთ, განა მაქვს უფლება არ ვემსახურო მათ, განა მაქვს უფლება არ ვემსახურო ჩემს პროფესიას?..

ნელი დადიანის მესამე ღმერთს კი სამტრედიაში ყველა იცნობს — ეს მისი შეხმატკბილებული, ხალისიანი ოჯახია. ნელი ბებია შვილიშვილს მუსიკაში ამეცადინებს, მაგრამ პატარა ნინოს ლექსების გამოთქმით კითხვა უყვარს. ჰოდა, ბებიას აზრით, უნდა განუვითარდეს ბავშვს ეს არტისტული მიდრეკილება. ქალიშვილისათვის კი ნელი არც კი ცდილა „გადაეცა“ თავისი პროფესია და რუსუდანმა პედაგოგობა აირჩია.

როცა თავისუფალია, ნელი ან თავის შრომებს ჩაჰკირკიტებს, ან თავის საყვარელ წიგნებს კითხულობს, ანდა დროს მეგობართა წრეში ატარებს. ერთი საიდუმლოც უნდა გაგანდოთ, — ნელის ძალიან უყვარს გემრიელი კერძების დამზადება, და საუცხოოდაც გამოსდის ეს საქმე. ხშირად არ სცალია — გამოძახებები... საავადმყოფო... ისევ გამოძახება... და ასეა გაუთავებლად.

28 წელია ნელი დადიანი სამტრედიის საავადმყოფოში მოღვაწეობს, იქა ჰყავს ოჯახი. ნათესავები კი ყველანი თბილისსა და სხვა ქალაქებში ცხოვრობენ, მაგრამ აქაც ბევრი მეგობარი გაიჩინა, და ეს ქალაქი ნამდვილად ძვირფასი გახდა მისთვის — თავისი საუკეთესო წლები ხომ აქ გაატარა.

და ისევ საავადმყოფო... ერთ წელიწადში თერაპიის განყოფილებიდან ორი ათასამდე გამოჯანმრთელებული ადამიანი იწერება...

...მე გულწრფელად მშურს მისი სამი ღმერთისა.

ზინა ვახტანგიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ის იცავს სიმარ-თლეს

რაიკომშიც მიეტანათ. დიდხანს საუბრობდნენ რაიკომის პირველი მდივანი თამაზ იმედაძე და დალი. რაიონის ხელმძღვანელობამ ფახურიძეების ოჯახს სახლი შეუკეთა, შეშით, სიმინდით უზრუნველყო, უახლოესი ნათესავი ნოდარ ფახურიძე ბავშვებს მზრუნველად დაუნიშნეს. ამჟამად ფახურიძეების ოთხი ქალიშვილი ენრის საბავშვო სახლში იმყოფებიან. მშობლიური ზრუნვა სახლმა იკისრა, რომელსაც ბავშვების აღზრდის ძველი და კარგი ტრადიცია აქვს. დეიდა დალი ახლაც მათი ხშირი სტუმარია.

დალი იმნაიშვილი სამტრედიის მკვიდრია. აქ სწავლობდა, უყვარდა სკოლა, მასწავლებლები. ამხანაგები. დალი იგონებს:

— გერმანულ ენას ეთერ ჭანტურია გვასწავლიდა. იგი ჩვენი კლასის ხელმძღვანელიც იყო. ერთი საოცრად კარგი ჩვევა ჰქონდა: როცა კლასში რაიმე გაუგებრობა მოხდებოდა, შეგვკრებდა ბავშვებს და სჯაბაასს ვმართავდით, თუ ვის მიუძღოდა ბრალი. გამოტანილი დასკვნები ყოველთვის სწორი და მიუდგომელი იყო. სამართლიანობის გრძნობა საყვარელი პედაგოგის დამრიგებლობამ გააღრმავა და როდესაც ბავშვებს საკლასო საწერი თემა მოგვცეს, — „ჩემი საყვარელი პროფესია", — იურიდიული ფაკულტეტი მიტაცებს მეთქი, დავწერე. ახალგაზრდული ფერად-ფერადი ოცნებით ვხატავდი თუ როგორ მივეშველებოდი დახმარებისათვის ხელგამოწვდილ ადამიანებს. ვიცავდი უდანაშაულობას, ვსჯიდი დამნაშავეებს, მიყვარდა სიმართლე...

დალიმ საშუალო სასწავლებელი ოქროს მედლით დაამთავრა. ნატვრა აუსრულდა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. დიდი გულისყურით უსმენდა ცნობილი პროფესორების ბორის ფურცხვანიძისა და ნიკო ლომსაძის საინტერესო ლექციებს. სპორტიც იტაცებდა. ტანვარჯიშში სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდება მოიპოვა. სადიპლომო შრომა ფრიადზე დაიცვა და 1969 წელს ისევ თავის საყვარელ რაიონს — სამტრედიას დაუბრუნდა. პროკურატურაში ჯერ სტაჟიორ-გამომძიებლად დანიშნეს, შემდეგ — გამომძიებლად. პროკურორის თანაშემწეც გახდა და მესამე წელია რაიონის პროკურორად დააწინაურეს.

აგონდება დამნაშავის პირველი დაკითხვა. ისხდნენ პირისპირ, ერთმანეთს გამჭვალავი თვალებით უმზერდნენ. თვითონაც გამოცდას აბარებდა — საოცრად მშვიდი, ერთი შეხედვით გულგრილი გამომეტყველებით მიჰყვებოდა დაკითხვის ხვეულებს — საქმის ძიება რომ ჰქვია. მისთვის ცხოვრების ახალი, ნამდვილი უნივერსიტეტი იწყებოდა. მომძლავრებული, გულმხურვალედ შეუდგა ამ დიდი მოვალეობის შესრულებას. რამდენი უძილო ღამე ახსოვს... საქაღალდეები თანდათან მაღლდებოდა, რთუ-

თოვლის ფანტელები დაუსრულებლად როკავდნენ. მიწა თეთრი საბნით იფარებოდა.

პროკურორი სამუშაო კაბინეტში ფანჯარასთან იდგა და სარკმლის მიღმა იმზირებოდა. სახე მოეღუშა, ერთხანს ჩაფიქრდა და შემდეგ შემობრუნდა. სამუშაო მაგიდაზე გადაშლილი საქაღალდე სწრაფად დახურა. საკიდიდან პალტო ჩამოიღო, კარი მოიხურა და ახალსოფელში მივდივარ, თუ ვინმემ მიკითხოს, ერთ საათში დავბრუნდებიო, — მდივანს დაუბარა. კიბეები სწრაფი ნაბიჯით ჩალია. მანქანა ელოდებოდა. ფახურიძეების ოჯახში მიმიყვანეო, — უთხრა მძღოლს.

მძიმედ მიიკვლევდნენ თოვლით დამძიმებულ გზას. ბარდნიდა ისე მძლავრად, თითქოს ცა მიწას უერთდებაო, იფიქრებდა კაცი. მანქანა იმერული ოდის წინ გაჩერდა. სტუმარს კარის ზღურბლთან შუახნის ქალი, ოჯახის კეთილმეზობელი შემოეგება. ამ წკვარამ ამინდში როგორ შეწუხდითო, მორიდებით შეჰკადრა მოსულს. სტუმარმა სიტყვის დამთავრება არ დააცალა და, — ბავშვები როგორ არიანო, მოიკითხა. ოთახში ბუხარი გიზგიზებდა. ლელა, ლამზირა, ვერა, ცირა და აზა ცეცხლს მიფიცხებოდნენ. გოგონები წამოიშალნენ, დალი დეიდას შემოეხვივნენ. იგრძნობოდა, რომ სტუმარი უცხო არ იყო ამ ოჯახში. პატარებს მოსულმა საჩუქრები გადასცა და წვრილად მოიკითხა მათი ამბავი. სუნთქვაშეკრულმა თვალი კედლისკენ გააპარა. შავი ჩარჩოდან ამ ბავშვების დედა და მამა იმზირებოდნენ.

შემთხვევა სამი წლის წინათ მოხდა, — სამტრედიაში. ანზორ ფახურიძე გზად მიდიოდა. მსუბუქი მანქანა მთელი სისწრაფით მოჰქროდა და დაეჯახა. ანზორი იქვე გარდაიცვალა. ბრმა შემთხვევამ ოჯახს მამაბოძი გამოაცალა. დარჩნენ ხუთი ობოლი და მძიმე ავადმყოფი ცოლი. დაიწყო გამოძიება, შედგა სასამართლო, დამნაშავე მ. კოხრეიძეს სასჯელი მიუზღო, მაგრამ ოჯახს ზრუნვა სჭირდებოდა, ბავშვებს — აღზრდა. ხუთიოდე თვის წინათ ახალი უბედურება დაატყდათ თავს — შვილებს დედაც გარდაეცვალათ.

რაიონის პროკურორი დალი იმნაიშვილი შესძრა ბავშვების ბედმა. ამბავი პარტიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

17486

ლი საქმეები გამოდიოდა სამზეოზე. შემთხვევაც არ ყოფილა, დალის გამოძიება ზედაპირული ყოფილიყოს, მხოლოდ „მოეცილებინოს თავიდან“. გულდაგულ ჩაჰკირკიტებდა ყოველ წვრილმანს, ათასჯერ ზომავდა და დასკვნები მოფიქრებულად გამოჰქონდა.

ყოველი დღე მისი ბიოგრაფიის ახალი საინტერესო ფურცელია. რა ხანია რაიონულ გაზეთ „ნინსვლის“ რედაქციაში სამართლისა და მორალის შტატგარეშე განყოფილებას ხელმძღვანელობს, არის რაისაბჭოს დეპუტატი, პარტიის რაიკომის პლენუმის წევრი, მიღებული აქვს მედლები, საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის სიგელი, რესპუბლიკის პროკურორის 11 მადლობა და ფასიანი საჩუქრები.

დალი ყურადღებას არ აკლებს მშობლიურ დიდ ჯიხაიშს, ყაზბეგის უბანს. დარაზმა მცხოვრებნი და სასოფლო გზები კეთილმოაწყეს, საუბნო გზებზე ასფალტი დააგეს. მისი ზრუნვით პირველი მოხმარების საქონლის მაღაზიაც გახსნეს; სოფელში კოოპერირების სასურსათო პროგრამის განხორციელებასაც პრაქტიკულად შეუდგნენ. მრავლად ზრდიან პირუტყვს, ფრინველს. თავად დალის ოჯახმა შარშან 500 კილოგრამი ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს.

სამუშაო მაგიდაზე ორი ღია ბარათი დახვდა. ბარათის ერთ მხარეს ფერადფერადი ყვავილები ეხატა, მეორე მხარეს ბავშვის ხელით იყო მინაწერი: „ძვირფასო დალი დეიდა, გილოცავთ რვა მარტს. დაესწარით მრავალს. დარეჯან და ელგუჯა ალანიები“. დალი თვალს არ აცილებდა მოსწავლის ხელით ლამაზად გამოყვანილ ასოებს. მათ მიღმა იდგა ოჯახის მწუხარე ისტორია: რამდენიმე წლის წინანდელი ამბავი გახლდათ. მძღოლი ვ. ალანია მანქანის საჭესთან იჯდა. ბოროტმოქმედმა იგი მოატყუა, გაიტაცა, გაძარცვა და მოკლა. მკვლელობის მძიმე საქმე დალიმ გამოიძია, დამნაშავენი გამოამჟღავნა. ალანიას ოჯახი მადლიერია მართლმსაჯულებისა. დაობლებული ბავშვები კი სათუთად დაწერილ სიტყვებში აქსოვენ პატარა გულების სითბოს, დალიმ რომ მათ გულუხვად უწილადა.

შინ კი დედას მოუთმენლად ელიან ეკა და ნიკა. შეაღებს კარს და შეაფრთხიალდებიან საყვარელი შვილები. ზოგჯერ მონატრებულია კიდეც ბავშვების ალერსს, რაქნას, დიდი მოვალეობა თავისკენ ეზიდება, მაგრამ საოცრად ჯანსაღი ატმოსფეროა მის ჭერქვეშ — სამსახურის სირთულესა და პასუხისმგებლობას ოჯახის წევრები უმსუბუქებენ.

იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა, რაიონის პროკურორმა დალი იმნაიშვილმა ღირსეული სახელი მოიპოვა. ის 35 წლისაა. და რა რიგ საამაყოა, სიმართლის საძიებლად ასე მძლავრად რომ გაუშლია ფრთები.

ეთერ ჯაფარიძე



# ფანტაზიამ უკარნახა

ოთახში ყვავილების ფერთა ელვარებაა და მნახველს ჰგონია, ბაღიაო გაშენებული.

მინდვრის ყვავილებით მოურთავთ სოკოს ქუდი, ზღვის კენჭებითაც მოუყვარაყებიათ ნატიფად დაწნული პატარა კალათები. ფაქიზად შესრულებული ნაკეთობანი მზრუნველობით არის განლაგებული მაგიდაზე, თაროებზე, ფანჯრის რაფაზე.

ბუნების სიმშვენიერე ჭერქვეშ რომ გააცოცხლა, ალექსანდრა (საშა) ჭეიშვილია, პროფესიით ექიმი-პედიატრი. ბუნების დიდმა სიყვარულმა, საკუთარმა ფანტაზიამ უკარნახა და შეაგროვა გირჩები, სოკოები, ფოთლები, ყვავილები, ზღვის კენჭები.

ყოველ ცისმარე სამსახურისაკენ მიიჩქარის მკურნალი ექიმი, საღამოთი კი ზღაპრული გარემო იშლება მის თვალწინ. შემოქმედი ქმნის ბუნების ცოცხალ აპლიკაციას, თავისი ხელოვნებით ტყეპარკი რომ გაუშენებია სამტრედიის ერთ მყუდრო ბინაში.





ქ. მარქს. სახ. საქ. სსრ სახ. ... რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატი



# თელავმა დაფასება იცის

სცენის რუხი ფერი,

ფოთოლგაცვენილი, გაძარცული ხეები,

ობლად დარჩენილი, გაუწყობელი აკვანი...

სცენის სიღრმეში საქანელაზე ზის ტანმაღალი, მიმზიდველი გარეგნობის გოგონა, მხრებზე თეთრი მოსასხამი მოუსხამს. ქანაობს საქანელა და რაღაც დიდის, უსაზღვროდ დიდი სილამაზის, უსპეტაკესის და უნეტარესის დამსხვრევის რელიქვიებად ჟღერს ფრაზა:

— ჭირმა განწყვიტა ყველაფერი!

ეს სიტყვები სცილდება ვიწრო, პიროვნულ დრამას და რაღაც ზოგადი, ტრაგიკული ჟღერადობა ენიჭება. ეს არის გამოფიტულ, მწირ სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებული და დასაღუპავად განწირული პიროვნების სულის ღაღადისი, ადამიანური უფლებების დაცვის, ცხოვრებაში შენი ადგილის პოვნის, შენი წილი ბედნიერების ძიების გზაზე უსასოობის განცდით აღძრული გულის კვნესა.

ასეთია კაროჟნა რეჟისორ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის სპექტაკლ „დარისპანის გასაჭირში“, რომელიც თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის თელავის ჯგუფმა მოამზადა სადიპლომოდ და რომელმაც ახლა თელავის თეარტშიც დაიდო ბინა. ასეთი იხილა თელაველმა მაყურებელმა პირველად ლია ასლამაზიშვილი და ამ, თითქმის უსიტყვო როლით, მარტო მოიწონა კი არა, შეიყვარა კიდეც და იმედიან მსახიობადაც აღიარა.

ლია ასლამაზიშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფია სადღეისოდ მხოლოდ რამდენიმე როლს მოიცავს — ინგა („კუკარაჩა“), კაროჟნა („დარისპანის გასაჭირი“), მზევინარი („მოკვეთილი“).

ამჟამად მსახიობი ლედი მილფორდის როლზე მუშაობს (შილერის ტრაგედია „ვერაგობა და სიყვარული“), იოს როლს ამზადებს (ვ. რასპუტინის „როდოლფიო“).

ბუნებრივია, გაკეთებული ჯერ ძალიან ცოტაა. სურვილი, მიზანი, ოცნება კი გაცილებით დიდია და უკიდეგანო. მისი საყვარელი ნაწარმოებია ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“, მისი იდეალი — მსახიობი ზინა კვერენჩხილაძე. ქალბატონი ზინა ლია ასლამაზიშვილს ჯერ კიდევ მაშინ იტაცებდა, საგარეჯოს საშუალო სკოლის მოსწავლე მსახიობობაზე რომ ოცნებობდა. შემდეგ ისე მოხდა, რომ ლია თეატრალურ ინსტიტუტში ჩაირიცხა და მსახიობის ოსტატობის პედაგოგად ქალბატონი ზინა მოევლინა. ის იყო მისი პირველი გზამკვლევი ამ რთული პროფესიის ლაბირინთების პირველი ხვეულების გავლისას, მისი დამრიგებელი, მრჩეველი. იქნებ ესეც არის მიზეზი, რომ ლიას კოლეგებს, თეატრის რეჟისურას, ჩვენც — მაყურებლებს ბევრი რამით გვაგონებს ლია ზინა კვერენჩხილაძეს.

თეატრის მთავარი რეჟისორი, ნუგზარ ლორთქიფანიძე ამბობს, რომ ლიასაც ისევე უკიდეგანოდ, სათუთად და მოკრძალებულად უყვარს თავისი პროფესია, როგორც ქალბატონ ზინას, ისევე თავდაუზოგავია სცენაზე, ისევე ღრმად სწვდება განსახორციელებელ გმირს სულში, ისევე უკომპრომისოა სცენაზე თუ ცხოვრებაში, როგორც ქალბატონი ზინა. და მთელ ჩვენს შემოქმედებითს კოლექტივს, მის თანამოსაქმეებს გვეხალისება ლიასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა, მასთან ერთად სცენური ცხოვრება.

...თელავი. ამ ქალაქის განუმეორებელი ანდამატი, ციხე-ბურჯები, ერეკლესეული კუწუბებიანი გალავანი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე დიდი ისტორია, მფეთქავი რელიქვიები... ჩვენს წარმოდგენაში თითქო არც არსებობდა რაიმე, რაც აკლდა ჩვენს ქალაქს, რაც კიდევ უფრო გაალამაზებდა მას. მაგრამ, აი ამ მშვენიერი ისტორიული ანსამბლის გვერდით ახალი, თანამედროვე სტილის დიდებული თეატრი აშენდა, რომელმაც გულში ჩაიხუტა ისტორიული „სადროშე“ და ჩვენ ვერც წარმოგვიდგენია, თუ ოდესმე ვიყავით უამთეატროდ, თუ ოდესმე ერეკლესეულ სამეფო რეზიდენციას ფიქრის გორიდან პირველი მაღლივშენი „კახეთი“, ხოლო სადროშედან ეს ზღაპრული თეატრი არ ეპაექრებოდა.

ხნით ხნოვანია ჩვენი თეატრი, ორას წელზე მეტი ხნის ისტორიას ითვლის. ჩვენ გვყავს ჩვენი საყვარელი მსახიობები და ვერც წარმოვიდგენდით, რომ შეიძლებოდა ამ სიყვარულში ჩაგვეზიარებინა ვინმე. მაგრამ, აი, მოვიდა ახლადკურსდამთავრებულთა „თელავის ჯგუფი“, მოვიდნენ ახალგაზრდა მსახიობები; მოვიდა ეს მშვენიერი თეთრი ქალიშვილი, მოვიდა თავისი სათქმელით და ჩვენ უკვე ველარ წარმოგვიდგენია, რომ ოდესმე ვიყავით უამმსახიობოდ, უასლამაზიშვილოდ...

— თელავის თეატრი, ქალაქი თელავი, თელაველი მშრომელები ღირსნი არიან, რომ ჩვენმა სახელოვანმა მწერლებმა, დრამატურგებმა საგანგებოდ ჩვენთვის, თელაველებისათვის დაწერონ პიესები, შეგვიქმნან ჩვენი სპეციალური რეპერტუარი და ჩვენ გეძახით, გიხმობთ ჩვენსკენ, ქართველო მწერლებო! რა გაბედულად, რა ლამაზად გაისმა საქართველოს კომკავშირის თელავის რაიონული ორგანიზაციის XXXII კონფერენციაზე დელეგატ ლია ასლამაზაშვილის ხმა.

— ჩვენ გვინდა ახალგაზრდული შეკრებების კერა! ჩვენ გვინდა თითოეულმა მევენახემ, მეცხოველემ, თითოეულმა ახალგაზრდამ თავისი გულის ფეთქვა, თავისი სულის ყივილი გაიგონოს თელავის თეატრის სცენაზე; ჩვენ გვინდა თეატრში მოსვლა ზეიმად ვუქციოთ ახალგაზრდებს და აქ მიღებული სულიერი საზრდო მეგობარივით ამოუდგეს მკერდით თავის სამუშაო უბანზე, მაცოცხლებელი ნიავივით ჩამოუქროლოს მეზვრესა თუ ფეიქარს, მწყემსსა თუ მემარმარილოეს, — ლაპარაკობდა დელეგატი.

— ტრიბუნაზე მსახიობი დგას, ნამდვილი მსახიობი! — ამბობდნენ მაშინ დარბაზში.

და ლია ასლამაზიშვილი, საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატი, თელავში ახალი შემართებებით დაბრუნდა.

თელავმა იცის სიყვარულის სიყვარული, თელავმა იცის დაფასება...

**მერი ზაალიშვილი**

**იუმორი**

# ჰალსტუხით კომბინეზე, მამაკაცებო!

რამდენიმე წელია, ზედიზედ მიწევს გამოსვლა: გამოვდივარ ყველა გახსნაზე, დახურვაზე, შეხვედრაზე, გაცილებაზე, წლისთავზე, საძირკვლის ჩაყრაზე, ქუჩაში პირველი ხრეშის დაყრაზე, როგორც დეპუტატი — სახლის აყრაზე, როგორც მსაჯული — ცოლ-ქმრის გაყრაზე. ხომ არ აჯობებს — შევაპარო დღევანდელი შეხვედრის ორგანიზატორებს, ცოტა დავასვენოთ ხალხი, ნამეტანი მოვაბეზრე თავი-მეთქი. არაო, სამტრედიელებს მოაბეზრე თავი, თორემ სტუმრებისათვის საინტერესო იქნება შენი გამოსვლაო. რაზე ვილაპარაკო, რა დამრჩა უთქმელი მეთქი. ილაპარაკე თუნდაც იმაზე, რომ აღარაფერი დაგრჩა სათქმელი და, შენ თუ არა, მაშ ვინ უნდა ილაპარაკოს ქალთა ჟურნალზე და საერთოდ ქალებზეო. სტუმრების გარდა, დარბაზში კაცი არ მეგულება არ იცოდეს, რატომ! იმიტომ, რომ ისეთ ორგანიზაციაში ვმუშაობ, სადაც 90 ქალია. სულ კი 91 ვართ. 25 წელია სამსახურში ქალებს ვხელმძღვანელობ, 25 წელია ოჯახში ქალები მხელმძღვანელობენ.

ურბანიზმის ეპოქაში ისეთი სისწრაფით მიმდინარეობს ქალთა ემანსიპაცია, რომ, როცა იგი კულმინაციას მიაღწევს, როცა ყველა ქალი, — ცისანა, ფაცია, ვერუშა, მაცია, — პასუხსაგებ პოსტზე აღმოჩნდება, მაშინ დაგვჭირდება კაცებს რეანიმაცია.

ამას წინათ, თანამშრომელი გავათავისუფლე სამუშაოდან. საქმე მოსამართლე აზა კოხრეიძემ გაარჩია, პროცესზე სიტყვით პროკურორი დალი იმნაიშვილი გამოვიდა და მაგრადაც ამიწიეს ყური: ქალი როგორ გაათავისუფლე სამუშაოდან, ისიც ასეთი მცირე დარღვევისათვისო. როგორ? მყავდა კაცები და არ მოვხსენი-მეთქი? 25 წლის მანძილზე ნუთუ ერთი თანამშრომელი მაინც ვერ უნდა გავათავისუფლო სამუშაოდან? პარტიის რაიკომში მივედი განაწყენებული, მაგრამ მომაგონდა, რომ რაიონულ კომიტეტში, კულტურას მეურვეობას უწევს, მართალია, საკმაოდ მომხიბლავი, ჰუმანური, სიმპათიური, შემწყალე, როგორც ყველა ქალი, მაგრამ მაინც ქალი!

თანამშრომელი აღვადგინე და განაცდენი დღეები საკუთარი ხელფასიდან ავუნაზღაურე.

ჩვენი რაიონის პროკურორი ქალბატონი დალი ერთადერთი ქალი იყო რესპუბლიკაში პროკურორთა შორის. ახლა მესტიასა და ახალციხეში ქალებიაო ამ პოსტზე.

დრო იყო, როცა ქალში ქალურ სისუსტეს აფასებდნენ, როცა ქალს კანტიკუნტად აწინაურებდნენ.

და ყველაფერი ეს იმიტომ, რომ ჩვენ, მამაკაცებმა, თავის დროზე გამოვიჩინეთ უდიდესი წინდაუხედაობა, ვერ გავითვალისწინეთ მოსალოდნელი მძიმე შედეგი, საკუთარ სქესს ჩვენივე ხელით გავუთხარეთ საფლავი და ერთ მშვენიერ დღეს, ქალებს საკუთარი ჟურნალი დავუარსეთ.

აი, აქედან დაიწყო ყველაფერი. ამ ჟურნალის წყალობით სწავლობენ: ეკონომიკას, კოსმეტიკას, ფსიქოლოგიას, ისტორიას, კოლმეურნეობათა, ქარხნების მართვას, მამაკაცის მართვას. ჟურნალი ურჩევს ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ვარცხნილობას ისე, რომ ვერ ამოიცნობ კანისა და თმის ნატურალურ ფერს, ფიგურას, ასაკსა და სქესს; ასწავლის როგორ გაუმკლავდეს მეზობელს, თავი არ დააჩაგვრინოს შვილის მასწავლებელს, მოუაროს დირექტორსა და დედამთილს.

და ასე გრძელდება ჟურნალ „საქართველოს ქალის“ დაარსებიდან.

ჩვენ კი, კაცები რას ვაკეთებდით მთელი ამ ხნის განმავლობაში? გაზეთ „ლელოს“ ვკითხულობდით. ახლაც ვკითხულობთ, რადგან ყველაფერი გვაინტერესებს, აბსოლუტურად ყველაფერი, მაგალითად, რა ზომის ბუცს იცვამს გუცაევი, როდის აპირებს ცოლის შერთვას, მსოფლიო ჩემპიონად გახდომის შემდეგ თუ მანამდე. ესპანეთიდან ოქროს მედალთან ერთად ნეტავ ბასკ ქალსაც ხომ არ ჩამოიყვანს! ვის ულიმის ჩელებაძე, რატომ იცინის დარასელია, როცა ბურთი ვერ გააქვს; რატომ დასად გარბის შენგელია ხელების ქნევით, როცა ბურთი გააქვს და ათი კაცი საკოცნელად დასდევს; რად ღლის ამ ხალხს და არ ჩერდება ერთ ადგილზე, როცა ისედაც ბევრი აქვს სარბენი.

აი ჩვენი ინტერესთა სფერო, დროა სერიოზულად ვიფიქროთ კაცებმა ჩვენს მომავალზე, ჩვენი ვაჟიშვილების მომავალზე, მათს კარიერაზე...

თქვენ იკითხეთ, თორემ, ბოლოს და ბოლოს, მე რა მაქვს საფიქრალი! ჩემს ოჯახში მამობრივი სქესისა მარტო მე ვარ და აწი დაწინაურებას კი არა, პენსიაზე გასვლას ვაპირებ.

**ოთარ შანიძე,**
**სამტრედიის დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გამოცდა, რომელიც ვერ ჩავაბარე"...

რედაქციაში წერილი მოვიდა. თითქოს არაფერია განსაკუთრებული — ინციდენტია, რომლის მოწმეც ხშირად ვართ და მაინც...

მისი ავტორია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ნანა ნეკერაშვილი.

„ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა ერთმა შემთხვევამ, რომელიც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მეხსომება.

ეს მოხდა ღამის 11 საათზე. ლექციებიდან ვბრუნდებოდი (ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, საღამოს განყოფილებაზე). მეტრო სამგორთან, № 52 ავტობუსში, არც ისე ბევრი მგზავრი იყო. მათ შორის იყო ერთი მთვრალი, ორმოცდაათიოდე წლის კაცი, რომელიც მძღოლთან ახლოს იდგა და დაჟინებით მოითხოვდა ავტობუსის დაძვრას, მაგრამ მძღოლს არ შეეძლო მისი მოთხოვნის შესრულება, რადგან ავტობუსის წინ რამდენიმე ტაქსი იდგა.

წინ, მძღოლთან ახლოს, იჯდა 14-15 წლის ორი ბიჭი, მათ გვერდით კი ახალგაზრდა ვაჟი იდგა. ბავშვებმა თავისებურად მხარი დაუჭირეს მძღოლს. ეს უკანასკნელი თხოვდა მთვრალს სკამზე დაჯდომას. წინა სკამზე მსხდომმა ქალებმა ადგილიც კი დაუთმეს, მაგრამ ის გაჯიუტდა და შეურაცხმყოფელი სიტყვების კორიანტელი დააყენა. მალე ავტობუსიც დაიძრა, მთვრალი კაცი კი ისევ განაგრძობდა უშვერი სიტყვებით ლანძღვას, ახლა პატარა ბიჭებს ეჩხუბებოდა, მილიციაში წაყვანითა და ცემით ემუქრებოდა. ბავშვებს იქვე მდგომი ახალგაზრდა გამოესარჩლა, მაგრამ არც მას დაადგა კარგი დღე. ამ მოქმედებით აღშფოთებული ერთი ახალგაზრდა წამოდგა და მთვრალს მამაშვილურად სთხოვა შეწყვიტე საზოგადოებისათვის შეურაცხმყოფელი სიტყვებით ლანძღვა-გინება და სკამზე დაჯექიო. მაგრამ ამაოდ. ამის შემდეგ გაისმა ახალგაზრდის კატეგორიული მოთხოვნა, მაგრამ არც ამან გასჭრა, პირიქით, მთვრალი მასაც მილიციაში წაყვანით ემუქრებოდა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არცერთმა მგზავრმა, — მათ შორის არც მე, საზოგადოების სიმყუდროვის დასაცავად გამოსულ ახალგაზრდას მხარი არ დავუჭირეთ. ამით გათამამებულმა მთვრალმა კი დაჟინებით მოითხოვა მილიციაში წაჰყოლოდა ახალგაზრდა. სწორედ ამ დროს ავტობუსიც მიუახლოვდა იმ გაჩერებას, სადაც საქარხნო რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაა.

თავისი მოქმედების სისწორეში ღრმად დარწმუნებული ახალგაზრდა უყოყმანოდ დათანხმდა მთვრალის წინადადებას.

და აი, ავტობუსიდან ჩავიდა მთვრალი კაცი, რომელმაც თან წაიყვანა მისი აზრით უზრდელი ბავშვები და ის ორი ახალგაზრდა, რომლებიც ბავშვებს გამოესარჩლნენ.

ავტობუსი გაჩერდა. ყველას აინტერესებდა, რით დამთავრდებოდა ეს შელაპარაკება. ამასთან ერთად მძღოლს არ შეეძლო ბავშვების მილიციაში მარტო დატოვება.

რამდენიმე წუთის შემდეგ მილიციის განყოფილებიდან გამოვიდა მთვრალი კაცი და არხეინად გაუდგა გზას თავისი სახლისაკენ, რომელიც თურმე იქვე ახლოს იყო.

გადიოდა დრო, მაგრამ მილიციის განყოფილებიდან აღარავინ გამოდიოდა. მოთმინებადაკარგულმა სხვა ორმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა საქმის ვითარების გაგება. მალე განყოფილებიდან ყველა ერთად დაიძრა, მაგრამ გამოსვლაც არის და გამოსვლაც, როცა ისინი ავტობუსში ამოვიდნენ, იმ ორ ახალგაზრდას, რომლებიც თავდაპირველად გამოესარჩლნენ ბავშვებს, სახეზე გადატანილი ნერვიულობის კვალი ეტყობოდათ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ორი ახალგაზრდიდან ერთი საკმაოდ ზრდილობიანი და თავდაჭერილი იყო. მან ბოდიში მოიხადა მგზავრების წინაშე დაყოვნებისათვის და ყველაფერს დაწვრილებით მოჰყვა, რაც მილიციის განყოფილებაში გადახდათ. გამოირკვა, რომ ის მთვრალი კაცი, რომლის უტაქტო საქციელიც ამ უსიამოვნების მიზეზი გახდა, მილიციის თანამშრომელი ყოფილა. მას არათუ პასუხი მოსთხოვეს, როგორც საჭირო იყო, არამედ, თითქოსდა არაფერიო, შინ გაუშვეს. ამ ახალგაზრდებისათვის კი საბუთებიც შეუმოწმებიათ, შეურაცხყოფაც მიუყენებიათ და ექსპერტის შემოწმებითაც კი დამუქრებიან, ამ დროს მასთან შესულან — ახალგაზრდები, რომლებიც ამჩის გასაგებად წავიდნენ. როდესაც შეუხედავთ ვითარებისათვის, მიმხვდარან, რომ იქიდან წამოსვლა უფრო აჯობებდა, ვიდრე დარჩენა, და მართლაც, მათ წამოიყვანეს ეს ახალგაზრდები, რომლებიც ალბათ მილიციის განყოფილებაში ღამის გათენებას გადაარჩინეს.

ყველგან აღვნიშნავთ, რომ საზოგადოება არ უნდა იყოს გულგრილი, არც და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშაულის მიმართ. ვკიცხავთ იმ მოქალაქეებს, რომლებიც თავს არიდებენ დაზარალებულის სასარგებლოდ გამოსარჩლებას. ეს ახალგაზრდა კი, თუმცაღა იცოდა, რომ გამოსარჩლებით შეიძლება უსიამოვნებაც შემთხვეოდა, არ შედრკა. მაგრამ რა გამოვიდა? იგი იმ მომენტში დამარცხდა და დამარცხდა მხოლოდ იმ მილიციის მუშაკების წინაშე, რომლებსაც ბოლომდე არა აქვთ შეგნებული თავიანთი მოვალეობა, და ზოგჯერ ჩირქს სცხებენ საბჭოთა მილიციელის წმიდა სახელს. მათი მოქმედებით აღშფოთებული ახალგაზრდა ამბობდა, ყველაფერ ამას უყურადღებოდ არ დავტოვებო. მას სჯეროდა, რომ სიმართლე თავის გზას არ დაკარგავს, ხოლო მისი მოპოვებისათვის კი ბრძოლაა საჭირო, რომლის უნარიც, მე დარწმუნებული ვარ, ამ ახალგაზრდას აქვს. მართალია, ჩემთვის უცნობი იყო, მაგრამ მის მოქმედებაში, ლაპარაკში ჩანდა ზრდილობაც, თავშეკავებულობაც. მისი თვალები სავსე იყო მრისხანებით, მაგრამ ამავე დროს გამოხატავდა სიმართლის მოპოვებისათვის იმ ბრძოლის დაუოკებელ უნარს, რომელიც ნამდვილი კომკავშირელისათვის არის დამახასიათებელი.

მან გვთხოვა მიგვეცა მისამართები, რადგან შეიძლება შემდეგში დასჭირვებოდა, მაგრამ არც ერთმა მგზავრმა არ მოისურვა შესაძლებელ უსიამოვნებაში გახვევა. როდესაც ახალგაზრდამ დაინახა, რომ არავინ დახმარებას არ გაუწევდა, ჩამოჯდა სკამზე და საყვედურით სავსე თვალებით დაუწყო ყველას ცქერა. ამ უკანასკნელებმა, იმის მაგიერ, რომ მისთვის მხარი დაეჭირათ, პირიქით, კიდევაც გაამტყუნეს, მთვრალი იყო, რა გინდოდა, რას აჰყევიო.

ამასთან უმართებულო შენიშვმა მოუთმენელი იყო და ჩემი მისადმი მხარდაჭერა მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ მგზავრებს შევეპასუხე. კი მაგრამ, რადგან მთვრალი იყო, ამიტომ ყველაფრის უფლება ჰქონდა-მეთქი?

როდესაც პროფესიას ვირჩევდი, ყველაზე უფრო იურისტობა მინდოდა, რადგან ეს სიმართლისათვის მებრძოლი ადამიანები არაფრის გულისათვის არ იხევენ უკან, მომწონს მათი შეუდრეკელობა. მზად ვიყავი გადამელახა ყველა წინააღმდეგობა, რათა მიმეღწია დასახული მიზნისათვის. აი, უკვე სტუდენტი ვარ, თავი ყველაზე ბედნიერ ადამიანად მიმაჩნია, რადგან მიზანი, რომელიც დასახული მქონდა, თითქმის მიღწეულია. მიყვარს ჩემი პროფესია, მწამს იმ ადამიანებისა, რომელთაც თავიანთ პროფესიად აირჩიეს სიმართლის დაცვა ყველა შემთხვევაში და არა მაშინ, როცა ეს მათთვის სასარგებლოა.

როცესაც ვუყურებდი ახალგაზრდის აღშფოთებულ სახეს, ჩემს გულში თანდათან იბადებოდა აღშფოთება მგზავრების მიმართაც და ჩემი თავის მიმართაც. მეც ხომ მაშინ ისევე ვიქცეოდი, როგორც ისინი, მართალია, მსურდა ვაჟისათვის მხარი დამეჭირა, მაგრამ არ მეყო გამბედაობა განზრახვის შესასრულებლად. იმ წუთში თითქოს მძულდა ჩემი არჩეული პროფესიაც. ამ შემთხვევამ ძალიან იმოქმედა. ის ჩემთვის პირველი გამოცდა იყო, რომელიც ჩემი აზრით, ვერ ჩავაბარე ცხოვრების წინაშე. არ ვიცი რა მაკავებდა იმ დროს, საკუთარ თავზე ფიქრი თუ უსიამოვნებაში გაუხვევლობის სურვილი. არა! მგზავრების სიჩუმე, მაკავებდა მათი საქმეში ჩაურევლობა, გულგრილობა, რომელიც იმ წუთებში მეც გადამედო.

ბევრი ვიფიქრე ამ შემთხვევაზე და გადავწყვიტე თქვენთვის მომეწერა ეს წერილი, რადგან ასეთი ამბავი ჩვენში სამწუხაროდ, თითებზე ჩამოსათვლელი არ არის. ბევრი დანაშაულის მიზეზი „რა ჩემი საქმეა", ხდება. ამაში იმ საღამოსაც დავრწმუნდი. ეს ამბავი მე ყოველთვის მეხსომება. მეხსომება ჩემი საქციელიც, რომელსაც აღარასოდეს აღარ გავიმეორებ, რადგან ასეთი მოქცევა არ შეეფერება საბჭოთა მოქალაქეს, კომკავშირელს და თანაც ისეთს, რომელსაც თავის პროფესიად სიმართლის დაცვა აურჩევია".

აი, მთლიანად და შეულამაზებლად ქალიშვილის წერილი, რომელიც მართალია, აღელვებისას არის დაწერილი, მაგრამ ავტორი ახალგაზრდული პირდაპირობითა და ულმობლობითაც კი ამხელს და არცხვენს როგორც სხვების, ისე საკუთარ გაუბედაობას, გულგრილობას თუ სილაჩრეს. რაც გსურთ, ის დაარქვით მას, ამით არსი არ იცვლება.

ეს პოზიციაც გახლავთ, რადგან დუმილიც პოზიციაა. რადგან ის, ვინც ჩვენთან არ არის ყოველგვარი ნეგატიური გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენი წინააღმდეგია. ასეთია ფაქტების ულმობელი ლოგიკა.

ჩვენი აზრით, ადამიანის საქციელი მისი ზნეობრივი სახის, მორალურ თვისებათა ობიექტური მაჩვენებელია, მაგრამ შეცდომის გულწრფელად აღიარება, მისი ასე პირუთვნელად შეფასება და მონანიება იმედს გვაძლევს იმისას რომ ეს ქალიშვილი, მომავალი იურისტი, შემდეგ ზნეობრივ გამოცდას უთუოდ ჩააბარებს. ასეთ გამოცდებს კი ცხოვრება მრავალჯერ გვიწყობს ქუჩაში, საზოგადოებაში, ავტობუსში, კრებაზე, შინ თუ გარეთ...

ამ გამოცდის კარგად ჩაბარებაზე დამოკიდებულია ადამიანის რწმენა, ჯანმრთელობა და ზოგჯერ სიცოცხლეც კი, რომ არაფერი ვთქვათ თვით საზოგადოების მორალურ სიჯანსაღეზე.

**ნარგიზა მგელაძე,**
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

გიორგი სამხარაძე

## ქართველ ქალს

ჩემო დედავ, ტკბილო დედავ,
საქართველოს რვალის ფუძევ,
როგორც ელვა, როგორც ჩქერი,
შემოვიჭერ შენში უცებ,
წიგნი შენი ცხოვრებისა
ფურცელ-ფურცელ გადავფურცლე.

შენ ურწევდი შვილებს აკვანს,
განა წუთით დაიღალე!
რძე გვაწოვე ფიქალ მკერდით,
გვიკოცნიდი ბარტყებს თვალებს,
ეგ სიკეთე, ეგ ამაგი
ვთვალე, ვთვალე... ვერ დავთვალე!

ხმალს უწრთობდი სააკაძეს,
შუბს სტყორცნიდი გაიძვერას.
შენ იცავდი მიწის სინდისს,
მიჰკიოდი მტარვალს, ვერაგს,
ცოტნეს ჩოხას უკერავდი
და აცმევდი ჯაჭვის პერანგს.

ციხის თავზე მოდარაჯე
ალმით იდექ, როგორც მუხა,
ბნელეთს სტეხდი, ეტრატს სწერდი
და ქარგავდი სტრიქონს მქუხარს,
შენ უზიძე სიბრძნის წყარო
რუსთველს, ხანძთელს, საბა-სულხანს.

საუვირის ხმით ამხნევებდი
ჯავშანმოსილ ვაჟთა გულებს,
როცა მეხმა ზეცა შესძრა,
ვინ მოსთვლიდა სევდას ულევს,
შვილებს ფრონტზე ისტუმრებდი,
ცრემლს აფრქვევდი დაცემულებს,
თვითონ მზეც ვერ დააშრობდა
შენი გულის მძიმე წყლულებს.

ახლა გხედავ ხარაჩოზე,
შენი მხრები ზეცას სწვდება,
აკვანს ურწევ შვილიშვილებს,
იავნანით სული თბება...
დე, აგშორდეს ტკივილები,
მწუხარება, ცრემლი, ვნება,
მხოლოდ შენ ხარ, ჩემო დედავ,
სიცოცხლე და უკვდავება!

# ვის ვესტუმროთ იაფად?

იუმორი

თვეში ორჯერ ვჩხუბობთ მე და ანგელოზა (ანგელოზა ჩემს მეუღლეს ჰქვია) — ავანსისა და ხელფასის აღების დროს. ანგელოზას დედა, ამ დროს გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს, რის გამოც ჩხუბში, ყოველთვის მე ვარ წაგებული. გასულ 8 მარტს კინაღამ დავჭამეთ ერთმანეთი. ანგელოზამ როგორც კი ჩაიგდო ხელში ჩემი ხელფასი, ელვის სისწრაფით გადაითვალა, კაპიკ-კაპიკ დაიანგარიშა, მერე სიმამრის მიერ ნარუქარ ბროლის საფერფლეს წამოავლო ხელი და მესროლა, მაგრამ ცრუ მოძრაობით ავიცილე. სამაგიეროდ, საფერფლე დედამისს მოხვდა კისრის მარცხენა არეში და სრულიად უდანაშაულო ქალმა, ჩვენზე რომაა გადაყოლილი, მხუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო.

— რამ გადაგრია, ქალო, დედაშენს ჰკლავ მეთქი? — მჭილისოდენა კურცხალი გადმომიგორდა თვალებიდან და სიტუაცია რომ არ გამწვავებულიყო, გადამალული თუმნიანიც ამოვიღე ჯიბიდან. ამის დანახვაზე ანგელოზა მოლბა, მე კი სიდედრს გადაუდებელი სასწრაფო დახმარება აღმოვუჩინე — არყით კისერი დავუზილე და პირში ვალიდოლი ჩავუდე. როცა ჩვენს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობა შენელდა, როგორც იქნა, დავზავდით და შაბათ-კვირისთვის გამოგზავნილ მოსაწვევებს კოლექტიურად გადავხედეთ.

— ვინც ფულის მიტანისთვის გვეპატიჟება, ყველა მიეწიოს მის გადასულს, ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ვისწავლოთ ჰკუა და ხელფასითაც კარგად ვიცხოვრებთ! — რაციონალური წინადადება წამოვაყენე მე.

— ვაჟბატონო, ლალი რომ კონსერვატორიაში მოეწყო და მამამისი სამახკაციანი ქეიფისათვის ემზადება, ოცდაათი მანეთის გულისთვის დავემალოთ? — მკითხა ანგელოზამ.

სიტყვა ქალბატონმა კლეოპატრამ აიღო (კლეოპატრას ჩემს სიდედრს ვეძახით მოფერებით, ისე, კლარა ჰქვია!):

— თამრიკო ინსტიტუტის დამთავრების ათი, გათხოვების თხუთმეტი და ქმართან შერიგების ხუთი წლისთავს რომ იხდის, იქ ორმოც მანეთ ნაკლებ ფეხს ვერ მიადგამთ! — თქვა მან ბრძანების კილოთი და თვალები კაპუეტივით გადმოაბრიალა.

ა ნ გ ე ლ ო ზ ა: — ვანო ძიას ბიჭი მიდის ჯარში და სულ რომ ვალებში ჩავვარდეთ, ხუთთუმნიანი მაინც უნდა ვაჩუქოთ ბავშვს!

მ ე: — მამაჩემი ფრონტზე წავიდა და აღარ დაბრუნებულა, მაგრამ ვანო ძიას არ მოუკლავს თავი!..

ს ი დ ე დ რ ი: — (ისევ ბრძანების კილოთი) პუჭურას გასვენებაში არ გაბედოთ ორმოცდაათ მანეთნაკლებ მისვლა!

მ ე: — კი მაგრამ, ბუიდიან მკვდარს? (სისხლი მომაწვა ყელში.)

ა ნ გ ე ლ ო ზ ა: — (დაბღვერით) ბიძაჩემთან „ნოვოსელიაზე" ხომ უნდა წავიდეთ მომავალ კვირას? ახალი სიძე ხარ და არ მოგვჭრა თავი!

დ ე დ ა მ ი ს ი: — მიტუაანთ კოლა რომ ავარიაში მოჰყვა და გადარჩა, უშველებელ ბანკეტს აწყობს, ნუთუ ორმოცდაათი მანეთი გენანებათ მისთვის?

ისევ ა ნ გ ე ლ ო ზ ა: — (თვალების ბრიალით) ბეჟანი რომ ახალშეძენილ „ჟიგულს" ასველებს, იმასაც არ ვესტუმროთ ფულის მიტანის შიშით?! არც ფლორენცია მამიდას მივულოცოთ დაბადების დღე?! გახსოვს რა მოგვიტანა ქორწილზე?

— წაიღოს უკან და მოგვეშვას! — ვიყვირე იმის შიშით, რომ გაბლენძილ ფლორენციას, ვიცოდი, ჩემი ნახევარი თვის ხელფასი სიცილადაც არ ეყოფოდა.

— მანადორა ბიცოლა რომ გოგოს ათხოვებს, არც იქ მივიდეთ, ვაჟბატონო? — აენთო ანგელოზა.

— რა მივუტანოთ? — ვკითხე ალერსიანად.

— ბროლის ვაზები, ჭიქები, კოვზები!..

— „ჟიგული" ხომ არ აჯობებდა? — გამოვედი მოთმინებიდან, — ჯარშიც წავედი, ავარიაშიც მოვხვდი, ინსტიტუტშიც მოვეწყვე, დიპლომიც ავიღე, მაგრამ არავინ შემიწუხებია და არც არავისგან მახსოვს კაპიკი, ბოლოს და ბოლოს ამ ხალხს ნამუსი არა აქვს? ეხენი მირჩენენ ოჯახს? — კინაღამ ავტირდი მე.

ჩემი მონოლოგი კარებზე კაკუნმა შეწყვიტა.

— ამ შაბათს, ნათლობაში ხართ შოთასთან დაპატიჟებული, ორას კაცზე მეტი არ ეყოლება, რომ არ მოხვიდეთ, სამუდამოდ დაგკარგავთ!.. გამაფრთხილა მეზობელმა და ხელში მოსაწვევი მომაჩეჩა.

— ჯანდაბას მაგისი თავი, დამკარგოს! — ვიყვირე გულმოსულმა და კარები ცხვირწინ მივუჯახუნე.

აი, ახლაც ვზივართ და ვფიქრობთ: ამ შაბათს ვის ვესტუმროთ ყველაზე იაფად?

ვანო ცინცაძე





# მათთვის, ვისაც ქსოვა უყვარს!




აჟურული ნაქსოვის პირობითი აღნიშვნა

□ — წალმა თვალი
× — უკუღმა თვალი
/ — კლება მარცხნივ
\ — კლება მარჯვნივ
o — თვლის გადატანა

ქალის კოსტუმი — ზომა 44-46; კოსტუმი შესდგება ბლუზონისა და დაბლა ოდნავ გაგანიერებული იუბკისაგან.

საჭიროა 1,100 გრ. ორ-სამ წვერიანი ძაფი; 2 და 3 მილიმეტრიანი სწორი ჩხირები: 2 და 3 მმ-იანი წრიული ჩხირები.

მასშტაბი: 10 თვალი სიგრძეში უდრის 10 სმ-ს.

## კოფთა

წინა მხარე: 2 მილიმეტრიან ჩხირებზე აიღეთ 122 თვალი და ქსოვეთ ჩვეულებრივი „რეზინკა" 1×1 (ერთი თვალი წალმა-ერთი უკუღმა); 7 სანტიმეტრს რომ მოქსოვთ ბოლო რიგში 7 თვალი თანაბრად მოუმატეთ. გადადით 3 მილიმეტრიან ჩხირებზე და დაიწყეთ წინდური ქსოვა — (1 რიგი წალმა, ერთი რიგი უკუღმა).

საერთო სიგრძის 31-ე სმ-ზე სახელოს ჭრილის გამოსაყვანად ჯერ ერთხელ ორივე მხრიდან 4-4 თვალი მოუკელით, შემდეგ რეგლანის გამოსაყვანად უკელით პირველი ორი რიგის შემდეგ და ბოლო ორ რიგამდე თითო თვალი 22-ჯერ, თანაც მარჯვენა მხრიდან უკელით ასე: პირველი თვალი გადაიყვანეთ პირველ ჩხირზე ისე რომ არ ამოქსოვოთ, შემდეგი თვალი ამოიღეთ წალმა, ზედ გადმოადეთ ამოუღებელი თვალი და ჩხირიდან მოხსენით. მარცხენა მხრიდან გამოკლებისას — ორი თვალი ამოიღეთ ერთად და წალმა.

რიგში, რომელშიც 7-ჯერ გააკეთებთ მოკლებას, შუა 17 თვალს დატოვებთ, ნუ ამოქსოვთ; შემდეგ თითოეული ნაწილი ცალ-ცალკე ქსოვეთ. ამასთანავე, ამოუქსოველ მხრიდან 15-ჯერ ორ-ორი თვალი ერთად ამოიღეთ და ეს დეტალი გადადეთ.

მეორე ნახევარიც ასევე შეასრულეთ, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით.

ზურგიც ისევე მოქსოვეთ, როგორც წინა მხარე, გარდა ყელისათვის ამოჭრილი ადგილისა. შეასრულეთ იგივე კლება და ეს დეტალიც გადადეთ.

მკლავი. აიღეთ 64 თვალი 2 მმ-იან ჩხირებზე და 7 სმ-ის სიმაღლეზე მოქსოვეთ „რეზინკა" 1×1. გადადით 3 სმ-იან ჩხირებზე და ქსოვეთ წინდურად, პირველსავე რიგში თანაბრად მოუმატეთ 24 თვალი.

საერთო სიგრძის მე-17 სმ-ზე ორივე მხრიდან ყოველი 6 სმ-ის შემდეგ (სულ 4-ჯერ) მოუმატეთ თითო თვალი. საერთო სიგრძის 41-ე სმ-ზე ორივე მხრიდან დახურეთ 4-4 თვალი, რის შემდეგაც რეგლანის გამოსაყვანად 22-ჯერ მოუკელით თითო თვალი და ეს დეტალიც გადადეთ.

მეორე მკლავიც ასევე მოქსოვეთ.

წრიულ 3 მმ-იან ჩხირებზე აასხით ყველა ამოუქსოველი თვალი შემდეგი რიგით: ზურგის თვლები, მკლავის თვლები, წინამხრის თითოეული დეტალი 29-29 თვალი და 17-17 შუათანა ამოუქსოველი თვლები, შემდეგ მეორე მკლავის თვლები — სულ 240 თვალი უნდა გამოვიდეს. წრიულ ჩხირზე ქსოვეთ უკუღმა თვლებით კოფთის წალმა პირიდან. 10 თვალი მოუმატეთ და შეუდექით აჟურის შესრულებას, რომელსაც სქემის მიხედვით მოქსოვთ. ქსოვას იმეორებთ ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე. როცა 22-ჯერ შემოივლით (შემოქსოვთ) დაიწყეთ ქსოვა ისევ პირველი წრიდან.

მე-19 წრის შემოქსოვისას თანაბრად მოუკელით 50 თვალი, ამის შემდეგ 180 თვალი უნდა დაგრჩეთ. მე-41-ე წრეზე კიდევ 44 თვალი მოუკელით, უნდა დაგრჩეთ 136 თვალი. აჟურის 47-ე წრეზე — ერთი წრე წალმაზე უკუღმა თვლებით ამოქსოვეთ და გადადით 2 მმ-იან წრიულ ჩხირებზე. შეასრულეთ „რეზინკა" (1×1) 2,5 სმ. სიმაღლეზე, თან პირველსავე წრეზე 14 თვალი მოუკელით და დახურეთ ყველა თვალი ერთ წრეზე ისე, როგორც ხედავთ ე. ი. წალმაზე წალმა და უკუღმაზე უკუღმა თვლებით.

შეკერეთ კოფთის ნაწილები.

## იუბკა

იუბკა ქსოვეთ წრიულად, წელიდან ქვემოთ. აიღეთ 240 თვალი წრიულ 2 მმ-იან ჩხირებზე და ქსოვეთ „რეზინკა" 1×1.

დასაწყისიდან 3,5 სმ-ზე ერთი წრე ნახვრეტებით მოქსოვეთ: 1 თვალი გადაიტანეთ, 2 თვალი წალმა ერთად ამოიღეთ, ორი თვალი „რეზინკა" გაიმეორეთ ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე ბოლო რიგამდე. შემდეგ ისევ „რეზინკა".

დასაწყისიდან მე-17 სმ-ზე გადადით წრიულ 3 მმ-იან ჩხირზე და ყველა წრე წალმა თვლებით გადაარეთ, თან ჯერ კიდევ პირველ წრეზე თანაბრად მოუმატეთ 28 თვალი. მე-6 წრის შემდეგ კიდევ 4 თვალი მოუმატეთ; ეს ოთხი თვალი უმატეთ ყოველ მე-6 წრეზე კიდევ 14-ჯერ. შემდეგ უმატეთ ყოველ მე-8 წრეზე, ვიდრე არ მიიღებთ 380 თვალს. ამის შემდეგ სამუშაოს წალმა პირზე უკუღმა თვლებით შემოქსოვეთ კიდევ 1 წრე და დაიწყეთ აჟურის ქსოვა სქემის მიხედვით. შემოქსოვეთ 25 წრე. შემდეგ მოქსოვეთ 4 სმ წალმა თვლებით, ერთი წრე ნახვრეტებით (გადატანა, ორი თვალი ერთად წალმა) გადასაკეცად, კიდევ 2,5 სმ წალმა თვლებით ქსოვეთ და დახურეთ ყველა თვალი ისე, რომ არ მოჭიმოთ ერთ წრეში!

გადასატეხ ხაზზე იუბკა გადატეხეთ და ნემსით ამოუხვიეთ.

მოქსოვეთ 170 სმ. სიგრძის „შნური" და გაატარეთ წელის „რეზინკის" ნახვრეტებში. „შნურს" ბოლოებში ფუნჯები მიამაგრეთ.

„ბოლგარსკაია ჟენშჩინადან"

## „საქართველოს ქალის" სიგნალის შემდეგ

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ნ. სიჭინავამ რედაქციას აცნობა: თქვენი ჟურნალის 1981 წლის მე-12 ნომერში გამოქვეყნებული მ. შონიას წერილი „ბურთი... ბურთი... ბურთი"... სინამდვილეს შეეფერება. წერილში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ სავაჭრო მაღაზიებში რეზინის საბავშვო ბურთები იშვიათად იყიდება. „საქკულტსამეურნეო საქონლის" საბითუმო სავაჭრო ბაზამ, რომელიც ამ საქონლის ძირითადი მომწოდებელია, 1981 წელს სავაჭრო ორგანიზაციებს მხოლოდ 65.000 ცალი რუსეთიდან შემოზიდული რეზინის ბურთი მიაწოდა. რესპუბლიკაში კი ამ ბურთებს მარტო ცხინვალის უსინათლოთა საზოგადოება ამზადებს, და შარშან მომხმარებელმა მათ მიერ გამოშვებული მხოლოდ 32,000 ბურთი შეიძინა.

1981 წელს თბილისის ვაჭრობაში რეალიზებულია სულ 97.000 ცალი რეზინის ბურთი. მოთხოვნილება კი სამჯერ მეტია. ამიტომ ვაჭრობის სამმართველომ ყველა ღონე იხმარა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. დაყენებულია საკითხი კულტსამეურნეო საქონლის რესპუბლიკური საბითუმო ბაზის წინაშე, რათა წლეულს სავაჭრო მაღაზიები უზრუნველყონ რეზინის ბურთებით.



## ამედეო მოდილიანი (1884—1920) —„საყელოიანი მანდილოსანი"

ჩვენი საუკუნის დასაწყისისა და ოციანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მოდერნისტი მხატვარი ამედეო მოდილიანი იტალიელი ებრაელის ინტელიგენტურ ოჯახში დაიბადა. პატარა ამედეომ ბავშვობაშივე გამოამჟღავნა ხატვისა და ფერწერის სიყვარული.

მოდილიანი საოცრად გულწრფელი მხატვარია. მხატვრული გემოვნების ყველა საზღვარს სცილდება მისი ნამუშევრების პოეტური გამოხატულება. ადამიანური ტრაგიზმით სავსე მისი ცხოვრება თითქმის ლეგენდად იქცა, უშუალობითა და ლირიზმით აღსავსე სურათები კი — ჭეშმარიტი ხელოვნების საგანძურად.

პორტრეტზე „საყელოიან მანდილოსანზე" (1917), რომელსაც ამ ნომერში გთავაზობთ, ქალბატონ სბოროვსკას ნატიფი და მკაცრი სახეა გამოსახული. მხატვარი მშვენივრად გადმოგვცემს არისტოკრატი, ამაყი ქალის ბუნებას, რაც აწეული საყელოთია ხაზგასმული.

## სხვადასხვა

ყოველწლიურად ერთი მილიონი ხუთამდე წლის ასაკის აფრიკელი ბავშვი იღუპება მალარიით. გარდა ამისა, 5 მილიონი ბავშვი ავადდება დამბლით. ეს ინფექციური დაავადება კოღოების ნაკბენით ვრცელდება.

ეგვიპტის დედაქალაქის გარეუბანში მოხდა ბომბის მძლავრი აფეთქება. როგორც გამოირკვა, ეს ბომბი მეორე მსოფლიო ომიდან შემორჩა მიწაში და ბავშვებმა აღმოაჩინეს შემთხვევით.

რეიტერის სააგენტო აქვეყნებს პეკინის პრესის ცნობას იმის თაობაზე, რომ ჩინეთში, ხუნანის პროვინციაში დიაბეტისაგან დაიღუპა მსოფლიოში ყველაზე მაღალი ქალი, 17 წლის ცაზენ ცაზიანლიანი. მისი სიმაღლე 2 მეტრი და 47 სმ იყო.

გაზეთი „იზვესტია"

---

გარეკანის პირველ გვერდზე — შოთა ხოლუაშვილი — „აჭარული ცეკვა"; მეოთხეზე — ამედეო მოდილიანი — „საყელოიანი მანდილოსანი".


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჟაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ.მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5.03.82 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.04.82 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
ტირაჟი 126.100. შეკვ. 614. უე 06204

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიასახლისი გვიზიარებს თავის გამოცდილებას

## კომბოსტოს სალათი

ერთი კილოგრამი კომბოსტო წვრილად დაჭრილ 100 გრამ ხახვთან ერთად 150 გრ. ცხიმში მოვშუშოთ. როდესაც კარგად მოიშუშება, დავასხათ 200 გრამი არაჟანი, მოვაყაროთ მარილი; მიტანისას ავურიოთ ორი მაგრად მოხარშული და წვრილად დაჭრილი კვერცხი, მოვაყაროთ ქინძი და კამა.

## კომბოსტოს ხვეულა ბოსტნეულის სატენით

1 კგ. სტაფილო 100 გრ. ხახვთან ერთად 100 გრამ ზეთში მოვშუშოთ, გავაგრილოთ, შევურიოთ 100 გრამი ქინძი, 50 გრამი კამა, 50 გრ. ოხრახუში, 4 მაგრად მოხარშული და წვრილად დაჭრილი კვერცხი, წვრილად დაჭრილი ორი ცალი ბულგარული წიწაკა, 1 ცალი მწარე წიწაკა და ეს ყველაფერი ავურიოთ მარილთან ერთად.

მზად უნდა გვქონდეს 1 კგ. სატოლმე კომბოსტოს ფოთლები, რომელსაც წყალში ვადუღებთ 5-7 წუთის განმავლობაში. შემდეგ ამ ფოთლებში შევახვიოთ გამზადებული ფარში და გაცხელებულ ტაფაზე შევწვათ.

მაგიდაზე მიტანისას მოვასხათ ათქვეფილი არაჟანი, მოვაყაროთ დაჭრილი კამა და მწვანე ხახვი.



## ფენოვანი ტორტის ბისკვიტი

ჯერ მოვამზადოთ გული: ერთნახევარი ჩაის ჭიქა პურის ფქვილი და 750 · გრამი მარგარინი ერთმანეთში დავზილოთ და გავყოთ 4 ტოლ ნაწილად.

ერთნახევარი ჩაის ჭიქა ცივი წყლით, 1 სუფრის კოვზი ძმრით, 2 კვერცხის გულითა და 100 გრამი მარგარინით მოვზილოთ რბილი ცომი. შემდეგ ცომი გავაბრტყელოთ და ზედ ზემოთაღწერილი ოთხად გაყოფილი ,,გულის‘‘ ერთი ნაწილი მოვათავსოთ. მერე რულეტივით დავახვიოთ და კვლავ გავაბრტყელოთ, ოღონდ ამჯერად გავაბრტყელოთ არა განზე, არამედ სიგრძის მიმართულებით. ორჯერ გაბრტყელების შემდეგ ეს ცომი ჩავდოთ ცელოფანის ქაღალდის პარკში და 80 წუთით შევდოთ მაცივრის საყინულეში. როცა გამოვიღებთ, კვლავ გავაბრტყელოთ, დავადოთ ,,გულის‘‘ მესამე ნაწილი, ისევ გავაბრტყელოთ, დავადოთ ,,გულის‘‘ მეოთხე ნაწილი და კვლავ გავაბრტყელოთ. გახსოვდეთ, ყოველ გაბრტყელებისას ცომი საწინააღმდეგო მიმართულებით უნდა გაბრტყელდეს ე. ი. ჯერ სიგრძეზე, მერე სიგანეზე, მერე ისევ სიგრძეზე, მერე ისევ სიგანეზე (სულ ოთხჯერ), მაშინ ფირფიტები ძალიან ფხვიერი გამოვა. მეორეჯერაც 80 წუთს შევდოთ მაცივარში. მაცივრიდან მეორედ გამოღების შემდეგ ცომი დავჭრათ 8 ტოლ და 2 მომცრო, სულ 5 ნაწილად. და ცალ-ცალკე მრგვალი ფირფიტების სახით გამოვაცხოთ. ფირფიტები გავაგრილოთ. შემდეგ ეს ფირფიტები შევაერთოთ მოხარშული კრემის საშუალებით, ზემოთ მომცრო ფირფიტები მოვათავსოთ. ზემოდან, როგორც გნებავთ ისე გააფორმეთ.

## კარტოფილი ხორცის სატენით

600 გრ. ღორის ხორცი გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში და მოვშუშოთ 100 გრამ ხახვთან ერთად. როცა მზად იქნება, გადმოვიღოთ, გავურიოთ მაგრად მოხარშული და წვრილად დაკეპილი ორი კვერცხი, მწვანილი, წიწაკა, თუ გნებავთ, შავი პილპილი და მარილი.

კილონახევარი კარტოფილი კანიანად მოვხარშოთ, გავფცქვნათ, გავატაროთ ხორცსაკეპ მანქანაში, შევურიოთ ათქვეფილი 2 ცალი კვერცხი, დავანაწილოთ, დაახლოებით, ხელის გულის ოდენა გუნდებად, შემდეგ ზედ დავადოთ ზემოთაღწერილი ფარშის თითო კოვზი და შევახვიოთ. ამოვავლოთ დაფქვილ ორცხობილაში და შევწვათ ცხიმიან ტაფაზე. როცა მზად იქნება, მოვასხათ ცხარე საწებელა. მოვაყაროთ ოხრახუში და ალყა-ალყად დაჭრილი ხახვი.



ცაცა მაღრაძე




ეროვნული ბიბლიოთეკა
ინდექსი 76178
ფასი 80 კაპ